რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 23 თებერვალი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 20 კაპ.

**გაზეთის ღირს:** ერთი თვით 4 მ. 50 კ., ორი თვით 9 მ., სამი თვით 13 მ. 50 კ. ექვსი თვით 27 მ. ერთი წლით 50 მ. **ცალკე** ნომერი ყველგან 20 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—60 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 ნახ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 44 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 44

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისთვის

ყოველ დღიურ გაზეთ

„ერთობა"-ზე

ხელის მოწერის პირობები

1 თვით — 4 მან. 50 კ. | 6 თვით — 27 მანეთი

2 თვით — 9 მანეთი. | 1 წლით — 50 მანეთი

3 თვით — 13 მ. 50 კ. | ცალკე № ყველგან 20 კ.

ხელის მოწერის პირობები 1 აპრილამდე (ე. ი. პირველ სამ თვეს) შემდეგ შემთხვევაში შეიცვლება,

ყოველ შეიძლება შეიცვალოს თუ ბაზრის მდგომარეობა მოითხოვს.

გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით:

Тифлисъ почт. ящикъ № 199. РЕДАКЦІЯ „ЭРТОБА".

აგზ. და თანამშრომლებთ მხოლოდ ხელის მოწერას ნუ დააგვიანებენ.

კავკასიის საოლქო სასურსათო გამგეობა ულრმესი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას თფილისის გუბერნიის სასურსათო გამგეობის წევრის

გიორგი ვასილის ძე დოლაქიშვილის

ტრაგიკულად გარდაცვალებას, რომელიც მოხდა მიმდინარე წლის 19 თებერვალს ქ. კავკავში სამსახურით გამოწვეულ მოვალეობის ასრულების დროს.

ღრმად დამწუხრებული მშობლები: ეკა და დიომიდე, ძმები: სევერიანე და სიმონ, დები: ფადია, ჟულიეტა, ნინა და მარუსია, რძლები: აკვირინე, ნინა, სიძეები: ლევანტი ივლიანის ძე კალანდაძე, კოლია საჩინოს ძე არაბიძე და ილიკო ელიზბარის ძე ქერქაძე, დისწულები: ვანო, ალიოშა, სერიოჟა, ქეთევან, თამარა კალანდაძეები და ტოგო არაბიძე, ბიცოლა კალისტინე. ბიძაშვილები: კაპიტონ—მეუღლითურთ, გიორგი, პელაგია და მადია კალანდაძეები ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს უძვირფასესი, ჯან-ღონით სავსე წითელ გვარდიელის

ბესარიონ დიომიდეს ძე კალანდაძის

უდროოდ გარდაცვალებას. მიცვალებულის გამოსვენება, რკინის-გზის საავადმყოფოდგან შაბათს 24 თებერვალს, დილით 10 საათზე. დასაფლავება წმინდა ნინოს სასაფლაოზე.

გულ-დათუთქული დედ-მამა ლეონტი ეგნატეს ძე, და მარიამი ალექსის ასული, ძმები: ნიკო და ლეონიდე, და ელენა, ბებია ატატო და ბაბუა ალექსი ქავრცხავები მამიდა ოლინკა და გარსევანი გაბუნია, ნათლია სალომე ნიკოს ასული და სევერიანე აროშიძენი, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ და ამხანაგებს, რომ დღეს პარასკევს 23 თებერვალს დილის 10 საათზე კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

ალექსი (ტოტიკა) ლეონტის ძე ქავრცხავას

სულის მოსახსენებლად.

თავდაცვის კომისია

აცხადებს სოფლების საყურადღებოთ,

რომ ნურავინ ჩამოდის თფილისში იარაღის მისაღებათ

გამოგზავნონ მხოლოდ თხოვნები ფოსტით, შემდეგი მისამართით: Тифлисъ, Бывшій—дворецъ, Комис. общест. безопасности. არავითარი იარაღი არ მიეცემა არავის მანამდის, სანამ კომისიისაგან გამორკვეული არ იქნება სად რამდენი არის ასეთი საჭიროება.

3—1 თავდაცვის კომისია.

მწარმოებელთა კოოპერატივი

„კახელ მევენახეთა კავშირთა-კავშირი"

ამით აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ მან უკვე მოაწყო წვრილად და ერთბაშად (ბითუმად) ბუნებრივი საუკეთესო

კახური ღვინით ვაჭრობა

წვრილად ღვინო იყიდება თფილისში, გოლოვინის პრ. № 33, სახლი თამამშევისა ყოფილ კუზანოვის სარდაფში. ბითუმად ღვინო იყიდება კახეთში კავშირთა-კავშირის განკარგულებაში გადასულ მუკუზნის სახელმწიფო (ყოფილ საუფლისწულო) სარდაფებიდგან.

ფოსტით მისამართი: თფილისში—გოლოვინის პრ. № 33 კახელ მევენახეთა კავშირთა-კავშირს. კახეთში—ველისციხე მუკუზნის სარდაფი კავშირთა-კავშირს.

ტელეგრაფით მისამართი: Тифлисъ—Сосоюзъ ან Велисцихе Сосоюзъ.

კანტორა

„განათლების"

აგენტებს ეგზავნება შემდეგი ჟურნალ-გაზეთები: „ერთობა", „Борьба", „სახალხო საქმე", „საქართველო", „ახალი კვალი", „პირველი ნაბიჯი", „ფაიქარი", „თეატრი და ცხოვრება", „Республика" და სხვა ყველა ახლად გამოსული ჟურნალ-გაზეთები და წიგნები. კანტორაში იყიდება აგრეთვე ნოე რამიშვილის ცნობილი წიგნი „ისტორიული მატერიალიზმი", ლ. ქიაჩელის „ტარიელ გოლუა", კალენდრები, პეტროგრადიდან მიღებული რუსული წიგნაკები, საოლქო კომიტეტის ყველა გამოცემები. ნისიათ გაზეთები და წიგნები არავის არ გაეგზავნება. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: Тифлисъ, почтовый ящикъ № 96. С. Р. Тавартки-ладзе. ტელეფონი № 3—44.

## ბოლშევიკების ღალატი

ბოლშევიკები საბოლოოთ გაკოტრდენ. ოთხი თვის განმავლობაში ისინი სავსებით გამოეთხოვენ სოციალისტურ და დემოკრატიულ პრინციპებს. ლენინის მთავრობა უაღრესათ განვითარებული დესპოტიზმია. ის რაც ამხანათ რუსეთში წარმოებს, მეფობის დროსაც არავის მოსწრია. „სოციალისტური" რევოლიუციის ნაცვლათ ბოლშევიკებმა უკიდურესი თვითნებობა გაიბატონეს და გზა გაუხსნეს საშიში რეაქციის დამკვიდრებას. რუსეთს მეფობის რესტავრაცია მოელის.

ეს ცოტაა. უკანასკნელმა ამბებმა ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა. რომ თავისი ბატონობა თუნდაც ორიოდე კვირით გაიხანგრძლივონ, ბოლშევიკებმა მუხლი მოიდრიკეს გერმანიის იმპერიალისტთა წინაშე და მათ დაუთმეს მთელი დასავლეთი რუსეთი. სამწუხაროთ ამხანათ რუსეთის დემოკრატია სუსტია, ის ხმას არ იღებს და მით უნებლიეთ ხელს უწყობს რუსეთში დემოკრატიზმისა და სოციალიზმის დასამარებას. როცა ხალხი გონს მოვა და იგრძნობს გერმანიის იმპერიალისტთა მძიმე უღელს, ის დიდი ხნით ზურგს შეაქცევს დემოკრატიას და რეაქციონერთა ფერხულში ჩაებმება. რუსეთის რევოლიუციის დამარცხება იწყება.

ბოლშევიკები დასავლეთ რუსეთის გაყიდვასაც აღარ დასჯერდენ. ის ბრბო, რომელიც ბოლშევიკთა მთავრობას სათავეში უდგია, ამიერ-კავკასიასაც წაეპოტინა და მას სასიკვდილო ლახვარის ჩაცემას პირდება. ბოლშევიკები ბრესტ-ლიტოვსკში მოლაპარაკების დროს დათანხმდენ ამიერ-კავკასიას მოსწყვიტონ ბათუმისა, არდაგანისა და ყარსის ოლქები და ეს ადგილები ოსმალეთს გადასცენ. პეტროგრადის ავანტიურისტები და მოღალატენი არ შეკითხებიან ამიერ-კავკასიის დემოკრატიას, მუშათა კლასს და გლეხკაცობას, სურს თუ არა მას ეკონომიურ-პოლიტიკური სიკვდილი და ოსმალეთის ამიერ-კავკასიაში გაბატონება. ეს არამკითხე ვაჟბატონები ხალხის ბედს ერთი კალმის მოსმით სწყვეტენ და მას ოსმალეთის უღელს ადგამენ.

მართლაც რას მოასწავებს ყარს-ბათუმის დაკარგვა და მათი ოსმალეთის ხელში გადასვლა?

ვინც ყარსს ფლობს, ის ფაქტიურათ ამიერ-კავკასიის ბატონი იქნება. ყარსი მთელი ჩვენი ქვეყნის გასაღებია. მისი დაკარგვა ამიერ-კავკასიის საბოლოო დამონებას მოასწავებს. მით უფრო უნდა ითქვას ეს ბათუმის შესახებ. ის ჭრა თუ კარია ამიერ-კავკასიის, კარი, რომელიც მას დასავლეთ ევროპასთან აერთებს. ბათუმი ჩვენი ეკონომიური განვითარების საფუძველია. ჩამოაცალეთ ამიერ კავკასიას ბათუმი და ის ფაქტიურათ შავ-ზღვას მოსწყდება და სერბიას დაემსგავსება. ბათუმი ჩვენი ეკონომიური აღორძინების მთავარი ფაქტორია. ბათუმის დაკარგვა ჩვენ საშვალო საუკუნეებში გადაგვტყორცნიდა და მით დემოკრატიზმს სასიკვდილო ლახვარს ჩასცემდა. ბათუმი სოციალ-დემოკრატიის აკვანია, მისი ზრდა-განვითარების საუკეთესო პირობაა. ბათუმის ჩამოშორება ამიერ-კავკასიის რევოლიუციის დასამარება და მემამულეთა გამარჯვება იქნება.

ბოშევიკებმა გაყიდეს რუსეთი. ეხლა ამიერ-კავკასიის დემოკრატიის დამონებას ეხმარებიან.

განა შეუძლია ჩვენს დემოკრატიას ასეთ მდგომარეობას შეურიგდეს და ხელი მოაწეროს თავის ეკონომიურ და პოლიტიკურ სიკვდილზე? არას შემთხვევაში. ყველა მუშა და გლეხი, ყველა მოქალაქე ვალდებულია მთელი თავისი არსებით წინააღუდგეს ბოლშევიკთა ცდას ამიერ-კავკასიის დემოკრატია დაიმონონ და მისი საარსებო ინტერესები ოსმალეთს მიყიდონ.

ამხანაგებო! გამართეთ საჯარო კრებები, მოიწვიეთ მიტინგები და სასტიკათ დაგმეთ ავანტიურისტთა ცდა ამიერ-კავკასიის ხალხის დამონების და მისი ინტერესების ფეხ ქვეშ გათელვის. შეადგინეთ რაზმები, მოუწოდეთ ყველა თავისუფალი მოქალაქეს იარაღი აისხას ც მზათ იყოს ამიერ-კავკასიის მთლიანობა იარაღით ხელში დაიცვას. ბათუმი და ყარსი ვერავის გადაეცემა, მისი დათმობა დემოკრატიას არ ძალუძს.

ბოლშევიკების ღალატმა ამიერ-კავკასიის დემოკრატიას წინ ასეთი დილემა დაუყენა: ან ის უნდა შეურიგდეს თავის პოლიტიკურ სიკვდილს და ბათუმ-ყარსი ოსმალეთს გადასცეს, არა და მოშორდეს იმ სახელმწიფოს, რომლის სათავეში ავანტიურისტები წამოსკუპებულან და დემოკრატიის ინტერესებს თავისი ვიწრო ჯგუფური მოსაზრებებით ყიდიან. ჩვენ პირველი გზით ვერ ვივლით, თავის-თავზე ხელს ვერ ავიღებთ, თავის სასიკვდილო განაჩენს ხელს ვერ მოვაწერთ. და აი გვრჩება ერთად-ერთი გზა—ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკათ გამოცხადება და თავისი საქმეების საკუთარი ძალ-ღონით მოწყობა.

ბოლშევიკებმა რუსეთი გაყიდეს და მას მეფობისაკენ მიაქანებენ. ამიერ-კავკასიის დემოკრატია ვალდებულია რევოლიუცია დაიცვას და ამ მიზნით ჩვენში დამოუკიდებელი რესპუბლიკა შექმნას.

## სამშვიდობო დელეგაცია

ბათუმიდან პირდაპირი მავთულით 21 თებერვალს შემდეგი აცნობეს ამიერ-კავკასიის კომისარიატს: „გიგზავნით დეპეშას, რომელიც ეხლა მივიღეთ ტრაპიზონიდან: „გეგეჭკორის მიერ ვეხიბ-ფაშას სახელზე გამოგზავნილი დეპეშა მივიღეთ დღეს და გარდავეცი რემზი-ბეის". ჩემთან მოვიდა აფიცერი მესამე არმიის უფროსისაგან და მომახსენა: „ოსმალეთის სამშვიდობო დელეგატები გამოვლენ კერასუნდიდან და კონსტანტინეპოლიდან ხვალ და მოვლენ ტრაპიზონში 22 თებერვალს (7 მარტს ახ. სტ.). კოლოსოვსკი". ასეთ დეპეშის მიღებისთანავე ტრაპიზონისაკენ გაემგზავრენ ამიერ-კავკასიის სეიმის მიერ არჩეული სამშვიდობო დელეგაცია და იქ ოსმალეთის წარმომადგენლებთან ერთად შეუდგებიან საბოლოვო ზავის ჩამოგდებას.

ერთი რამ არის საგულისხმო: ოსმალეთის მთავრობას, ეჭვს გარეშეა, ბოლშევიკების მიერ ბრესტში მირთმეული ნობათი,—ბათუმის, ყარსის და არდაგანის ოლქების გადაცემა,—ნაღდ თამასუქათ არ მიუღია და ეს საკითხი საბოლოვოთ გადაწყვეტილათ არ მიუჩნევია, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ამიერ-კავკასიის სეიმმა გადაჭრით უარჰყო ბოლშევიკების უფლება ასეთ ნობათის მირთმევაზე.

ოსმალეთის მთავრობამ ძალიან კარგათ იცის, რომ ამიერ-კავკასიის დემოკრატია ბოლშევიკების ზავის პირობებს ხელს არ მოაწერდა და მით ადგილობრივ საწარმოო ძალთა განვითარებას ჯვარს არ დაუსვამდა. განა წარმოსადგენია, რომ ჩვენმა დემოკრატიამ ბათუმის, ყარსის და არდაგანის ოსმალეთის ხელში გადაცემაზე ხელი მოაწეროს და მით მთელ რევოლიუციონურ თავისუფლებას გამოეთხოვოს. ბათუმს, ყარსსა და არდაგანს ამიერ-კავკასიის დემოკრატია ვერავის ვერ გადასცემს. ვიმეორებთ—ეს ძალიან კარგათ იცოდა ოსმალეთის მთავრობამ და ამიტომ იგი დასთანხმდა ამიერ-კავკასიის ხალხთან და მის უმაღლეს ორგანოსთან დამოუკიდებელ საზავო მოლაპარაკების გამართვას.

სწორეთ ახლა საჭიროა ჩვენს დემოკრატიას მეტი სიფრთხილე და ერთსულოვნობა. ამიერ-კავკასიის რევოლიუციონურმა მასსამ განურჩევლათ ეროვნებისა მეტი გონებრივი სიმწიფე, მეტი ორგანიზაციული კავშირი უნდა გამოიჩინოს, წინააღმდეგ შემთავევაში ჩვენს დამოუკიდებლობას, ჩვენს ეკონომიურ და პოლიტიკურ თავისუფლებას დიდი საფრთხე მოელის არა გარეშე მტრისაგან, არამედ შინაურ უთანხმოებიდან.

მთელი ამ კუთხის დემოკრატია ღრმათ უნდა იყოს დარწმუნებული, რომ ამიერ-კავკასიის ხალხი ისტორიულათ მჭიდროთ შეკავშირებულია, მათ შორის ეკონომიური ინტერესები ერთი-მეორესთან გადახლართულია და ვინც ამ კავშირს გასწყვეტს—სწორეთ ის იქნება ჩვენი მომავალი მოქალაქობრივ ცხოვრების მომშლელი. მაშასადამე ძალა ჩვენს ერთობაშია, ძლევამოსილება ამიერ-კავკასიის დემოკრატიის ერთსულოვანებაშია.

მთელი ჩვენი საზოგადოებრივი ძალები, ამიერ-კავკასიის სეიმის მიერ არჩეული სამშვიდობო დელეგატები ამ ნიადაგზე უნდა მუშაობდენ. განსაკუთრებით სეიმმა და მისმა სამშვიდობო დელეგატებმა ოსმალეთთან მოლაპარაკების დროს მედგრათ უნდა მოითხოვონ დემოკრატიული ზავის პირობების განხორციელება: უანექსიო და უკონტრიბუციო ზავი ერთა თვითგამორკვევის პრინციპზე აგებული ჩვენს მთავარ მოთხოვნას შეადგენს. ჩვენ ოსმალეთისაგან არას მოვითხოვთ და არც რასმე ჩვენსას დავანებებთ.

ჩვენ ოსმალეთთან მშვიდობიანობა გვსურს, ჩვენ არ ვაწარმოებთ, არც დაპყრობით პოლიტიკას და არც გვინდა ვინმესგან დაპყრობილ ვიქნეთ.

ამიერ-კავკასიის დემოკრატია ამიერ-კავკასიის თავისუფალი რესპუბლიკის შვილია და ნურავის იმედი ნუ ექნება, რომ მან ამ თავისუფლებაზე ხელი აიღოს, სანამ პირში სული უდგია. დამოუკიდებელი და თავისუფალი ქვეყნის შვილები თავიანთ თავისუფლების დასაცველათ უკანასკნელ სისხლის წვეთამდის იბრძოლებენ. სამშვიდობო დელეგაცია ამ ლოზუნგის მიხედვით იმოქმედებს, ამ საარსებო პრინციპებს არ გადაუხვევს და ამაში მხარს დაუჭერს მას მთელი ამიერ-კავკასიის რევოლიუციონური დემოკრატია, მისი საუკეთესო შვილები. ამიერ-კავკასიის 1914 წლის საზღვრებში დარჩენა, მისი დამოუკიდებელი არსებობა ჩვენს უმთავრეს მოთხოვნას შეადგენს. და ამ მოთხოვნის დაცვა ევალება, როგორც სამშვიდობო დელეგაციას, ისე მთელი ამიერ-კავკასიის დემოკრატიას.

უამისოთ არავითარ ზავის პირობების მიღება ამიერ-კავკასიის ხალხს არ შეუძლია, არ შეუძლია, რადგან ეს იქნებოდა მისი სასიცოცხლო ძარღვის გაწყვეტა. ზავი სამართლიანი, ზავი დემოკრატიული, რომელიც უზრუნველყოფს ამიერ-კავკასიის განვითარებას—ასეთია ჩვენი საბოლოო და გადაუვალი მოთხოვნილება.

## ამ.-კავ. დამოუკიდებლობა და რუს მცხოვრებთა ბედი

ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის საკითხმა ყველაზე უფრო დიდი არევ-დარევა და გაუგებრობა ადგილობრივ რუს მცხოვრებთა წრეებში დაბადა. აქ ამ საკითხმა პრინციპიალური ხასიათი დაჰკარგა და „საკუთარ ქოხის" ფარგლებში იქნა მომწყვდეული.

ეს მოვლენა შემთხვევითი არ არის. როცა რომელიმე საკითხი თეორეტიულად არის დასმული, როცა ის პროგრამის ჩარჩოებს არ შორდება, მას ბევრი თანამგრძნობი და მომხრე ჰყავს. ამიტომ არის, რომ სოციალიზმის მოძღვრებასაც ბევრი იზიარებს, სანამ მისი განხორციელება მომავლის საქმეა, მაგრამ საკმაოა შევუდგეთ არა თუ სოციალიზმის, არამედ სულ უბრალო, მშრომელ მასისთვის ცოტათი სასარგებლო ზომის განხორციელებას, რომ მრავალი მტერი გაიჩინოთ წინანდელ მომხრეთა შორის. ასეთია ცხოვრების ულმობელი კანონი.

ამიტომ სრულიათ არ უნდა ყოფილიყო მოულოდნელი ის გარემოება, რომ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის საკითხმა ბევრ სოციალისტსაც კი აუბნია გზა-კვალი და სოციალიზმის და პარტიულ პროგრამების ღალატი მოალანდა. ერთხელ კიდევ მტკიცდება მარქსიზმის მარტივი დებულება, რომლის ძალით ცხოვრების განახლების იმედი მხოლოდ ობიექტიურ პირობებზე უნდა დავამყაროთ და არა ამა თუ იმ პირის და ჯგუფის ნება-სურვილებზე.

თუ ზოგიერთ სოციალისტებსაც კი აუბნია ამ კითხვამ გზა კვალი, რა უნდა მოსვლოდა რუს მცხოვრებთა ჭრელ მასსას, „ობივატელს", რომელმაც საბოლოვოთ შეითვისა ის აზრი, რომ ამიერ-კავკასიაში ის გაბატონებულ ერის შვილია, უმაღლეს მოდგმის წარმომადგენელია, რომ მხოლოდ ის არის კულტურის და განათლების მატარებელი, სხვები კი „ტუზემცებია".

ეს „გაბატონებულ" ერის წარმომადგენლები ყოველგვარ უპირატესობით სარგებლობდენ აქ, ამიერ-კავკასიის საზღვრებში. ლოთსა და ხეპრე მოხელეს, რომელიც შიდა რუსეთში გამოუსადეგრათ ითვლებოდა, აქ დამატებით ჯამაგირს აძლევდენ, როგორც გმირს, რომელმაც „ველურებში" წასასვლელათ გაიმეტა თავი; აქაურ მიწა-წყალზე ასახლებდენ გლეხებს, ადგილობრივ მცხოვრებთ კი ფეხის მოსაკიდებელი ადგილი აღარ რჩებოდათ.

ამიტომ რევოლიუციის პირველ დღეებშივე იგრძნეს მათ განსაცდელის მოახლოვება. მაგრამ მოძრაობა იმდენათ ძლიერი იყო, რომ აშკარათ გამოსვლას ვერავინ ბედავდა და ამიტომ უმთავრესად ჩუმი და უჩინარი იყო მათი უკმაყოფილება.

გავიდა დრო, და ამ გაბატონებულ ერის წარმომადგენლებმაც წინამძღოლი გაიჩინეს. ასეთი წინამძღოლობა იკისრეს... ადგილობრივმა ბოლშევიკებმა. მათ თავისებურათ გამოიყენეს ამიერ-კავკასიის დემოკრატიის დამოკიდებულება ლენინის მთავრობასთან და დაჰკრეს ბუკი და ნაღარა—არიქა უშველეთ, კავკასია „თვითგამოერკვა", რუსეთს მოშორდაო. „კავკაზსკი რაბოჩი", „ბრძოლა" და „ბანვორი კრივ" ერთგულათ შეუდგენ ამ იდეის გავრცელებას და უნდა ითქვას მეტათ ნაყოფიერი ნიადაგი იპოვეს ბოლშევიკებმა: ყველა რუსი მოხელე, ყველა ყოფილი შავრაზმელი და აქტიური მოღვაწე „რუსთა კავშირისა" ერთ მშვენიერ დღეს ბოლშევიკი გახდა. და იმდენათ ძლიერი აღმოჩნდა ეს ბოლშევიკური ტალღა, რომ ერთი მენშევიკიც კი აალაპარაკა ბოლშევიკურ ჰანგებზე: ვიღაც „სტრანნიკ"-მა თეორეტიულათ დაასაბუთა—ბოლშევიზმი სახელმწიფოებრივ იდეის მატარებელი მოძღვრება არისო.

თეორიებს რომ თავი დავანებოთ, ერთს უცილობო დებულებას მივიღებთ: ადგილობრივ რუსობის დიდი ნაწილი შიშით უცქერის თავის მომავალს ბედს, ის კარგათ გრძნობს, რომ თვითმპყრობელ მთავრობის წყალობით აქ ხორცმეტათ იყო და ეშინია სამაგიერო არ გადამიხადონო.

საუბედუროთ ამის მაგალითებს უკვე ჰქონდა ადგილი ყარაიაზის რაიონში, სადაც თათრებმა აიკლეს რუსების კარმიდამო და, როგორც ყოველთვის ხდება, ბევრ უდანაშაულოსაც მიაყენეს ზიანი.

მაგრამ ჩვენ ღრმათ ვართ დარწმუნებული, რომ როცა ანარქიის ხანა გაივლის და ცხოვრება წესიერ კალაპოტში ჩადგება, ასეთს მოვლენებს ადგილი აღარ ექნება. ჩვენი დემოკრატია იმდენათ შეგნებული და პოლიტიკურათ აღზრდილია, რომ ძველი მთავრობის ვერაგულ პოლიტიკის გამო სამაგიეროს არავის გადაუხდის. პირიქით ის ეცდება რუს მცხოვრებლების საღ ნაწილთან საერთო ენა გამონახოს და ძმური კავშირი გააბას. კავკასიის დამოუკიდებლობა სრულაც არ ნიშნავს ადგილობრივ რუსების შევიწროებას. ჩვენს ტერიტორიაზე მცხოვრები, ვინც უნდა იყოს ის, სწორუფლებიანი მოქალაქეა. ჩვენ ვცდილობთ დავამყაროთ ისეთი წესი, რომელიც ყველა ერს თავისუფლათ განვითარების საშუალებას მისცემს, ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი წყობილება, რომელშიც ადგილი არ ექნება გაბატონებულ და დაჩაგრულ ერებს.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ანარქია მოისპობა, ბურუსი გაიფანტება და ყველა ადგილობრივი ერები შეიგნებენ მეზობლურ კავშირის საჭიროებას და ერთმანეთისადმი პატივისცემით გაიმსჭვალებიან.

ყველა ერის დემოკრატია ვალდებულია ამ გზით მიმართოს თავისი მუშაობა.

## გაკვრით

სეიმს თურმე ერთათ ერთი სამუშაო გაუჩენია. ესაა სოციალისტ-რევოლიუციონერების იზოლიაცია. ამ უკანასკნელთ მართლა გონიათ, რომ ისინი ისეთ დიდ რევოლიუციურ ძალას წარმოადგენენ, რომ მათი იზოლიაცია ასე საჭირო და აუცილებელია.

მერე რათ დასჭირდა სეიმს ასეთი ოპერაციის მოხდენა: იმისთვის, რომ სოციალისტ-რევოლიუციონერები მათი ოფიციოზის აზრით „არც ერთ ერს არ ეყრდნობა, არამედ ინტერნაციონალურ მშრომელ მასსას". არ ვიცი, თქვენ როგორ ფიქრობთ მკითხველო და მე კი უნდა მოგახსენოთ, რომ ამ პარტიის ინტერნაციონალისტობა არ გამიგონია, არც ის მახსოვს, რომ მათ მასსაში ასეთი გავლენა ქონდესთ. ისინი მართლა არც ერთ ერს არ ეყრდნობიან, მარა ისიც მართალია, რომ არც საზოგადოთ ფართე მასაზე არიან დაყრდნობილი. ჯარი, რომელიც მათ აძლევდა ხმას, შემდეგ ბოლშევიკებს მიემხრო, ახლა კი

ალბათ პოლიტიკა სავსებით დავიწყებული იქნება. ცხადია ასეთი პარტია უჯარო ღენერლების პარტიაა და აბა შენ თვითონ გასაჯე, რათ დასჭირდებოდა სეიმს მათ იზოლიაციაზე ზრუნვა, როცა თვით ცხოვრებისგან იგინი უკვე გარიყული არიან. ცნობილია, რომ როცა ადამიანი გავლენას კარგავს, ის მაშინ ხშირათ კარგავს ყოველგვარ ზომიერებას. ასე ემართება სოციალისტ-რევოლიუციონერების ორგანოს: „ზნამია ტრუდას".

მან იცის, რომ ს. დ. მენშევიკები მომხრე იყვნ ფრონტის დეპუტატების დატოვების სეიმში, რომ მათ ამის სასარგებლოთ მისცეს ხმა, თუმცა ფრონტი დიდი ხანია მიიშალა და მას ამიერ-კავკასიასთან უკვე არავითარი დამოკიდებულება არა აქვს.

„ზნამია ტრუდას" თანამშრომელი კი მაინც სწერს, რომ სეიმში სრული სოლიდარობა გამოჩნდა მუსულმან ბეგებსა და დანარჩენ ფრაქციებს შორისო, მუსულმანმა ბეგებმა ჩვენს წინაალმდეგ მისცეს ხმაო. სოც.-დემოკრატ მენშევიკებმა ამ კითხვაში მუსულმან ბეგებს და მემამულეებს დაუჭირეს მხარიო. ყველა ეს სრულიად მოკლებულია სიმართლეს. მუსულმანების უძლიერეს ფრაქციამ „მუსავატმა" კენჭის ყრის დროს თავი შეიკავა. ხოლო ესდეკების და დაშნაკელების ხმით გავიდა რეზოლიუცია ფრონტის დელეგატების დაშვების შესახებ, მარა მხოლოდ იმდენის, რამდენიც დამფუძნებელ კრებაში მოხვდენ. ჩვენ თანახმა ვართ, რომ ეს კომპრომისული რეზოლიუციაა. მარა იგი აღიარებს პრინციპს დაშვებისას, მაშინ როდესაც მუსავატისტები თავიანთ სიტყვებში სრულიად წინაალმდეგნი იყვენ ფრონტის წარმომადგენელთა მონაწილეობისა სეიმში.

„არაფერს არ შეუძლია დაფაროს ეს პატარა, მარა დამახასიათებელი ფაქტი მემამულეთა კლასთან ერთათ **ხმის მიცემისა** (ხაზი ჩვენია) სეიმში სოციალისტების დაშვების წინაალდეგო". ასე სწერს „ზნამია ტრუდა".

მკითხველი თვით ხედავს, რომ ამ წინადადებაში რამდენი სიტყვაა, იმდენი სიყალბეა.

ერთათ ხმის მიცემას ადგილი არ ქონია. რეზოლიუცია მიღებულ იქნა დაშვების სასარგებლოთ და კითხვა იდგა არა სოციალისტებზე, არამედ ფრონტის დელეგატებზე. იქნება მკითხველს გონია, რომ „ზნამია ტრუდას" თანამშრომელმა არ იცის, რომ „მუსავატს" ხმა არ მიუცია რეზოლიუციისთვის. „რომ „მუსავატმა" ხმის მიცემის დროს თავი შეიკავა, ეს არაფერს ნიშნავს", სწერს იგივე გაზეთი.

მაშასადამე თქვენ გგონიათ, რომ თავი შეიკავა. რაღათ სწერთ ერთათ მისცეს ხმაო? იქნება იდეურ დაახლოვებას აბრალებთ ს.-დ.-ბს მუსავატთან? მარა მაშინ მათი ნალაპარაკევი უნდა მოგეყვანათ, და გაიგებდით, რომ მათ ამ მხრითაც ერთი-მეორის წინაალმდეგი პოზიცია ეჭირათ. ცხადია გაჯავრებულ გულზე ესერებსაც ბოლშევიკებზე არა ნაკლებ შესძლებიათ „თავისუფლათ" სარგებლობა ფაქტებით, მათი შეთხზვა და გადამახინჯება, ისე როგორც მათეზურათ დემაგოგიური განცხადებების გამოჭიმვა გაზეთის ფურცლებზე.

ჩვენ აქვე არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ერთი გარემოება. სეიმის მიერ ფრონტის წარმომადგენლობის შემცირების გამო—ყველა ფრონტიდან გასულმა სოც.-რევოლიუციონერებმა, იმათაც კი, რომელნიც დადგენილების თანახმათ სეიმის კანონიერ წევრებათ იქნენ აღიარებული, თავის უფლებებზე ხელი აიღეს. ეს გაქცევა პოლიტიკურ ასპარეზზე მუშაობიდან რომელი საზრიანი პოლიტიკის მომასწავებელია?

თუ ასეთ ნაბიჯის შემდეგ მათ სეიმში მუშაობა არ მიაჩნიათ საჭიროთ უნდა ყველანი წასულიყვენ, მაშასადამე ისინიც, რომელნიც სხვა საარჩევნო ოლქიდან გავიდენ. თუ სეიმში მუშაობას საჭიროთ სთვლიან, განზრახ თავის წარმომადგენლობის შესუსტებით—ნეტა ვის მოუტანენ სარგებლობას? ერთათ-ერთი ახსნა შეიძლება ასეთ საქციელის: ნახევრათ მაინც სურთ ბოლშევიკებს წაბაძონ. ეს უკანასანელი სულ არ ეკარებიან სეიმს, როგორც არა საკადრისს მათგვარ „სოციალისტებისათვის". ესერები კი სანახევროთ გარბიან, რადგან სანახევროთ ბოლშევიკობენ. კიდეც სურთ მასში ყოფნა და არც სურთ, ეს ორ სკამზე ჯდომა კი მხოლოდ დამახასიათებელია მათი პოლიტიკური ხაზის, ან უკეთ ასეთ ხაზის უქონლობის.

არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ მათი ასეთი საქციელი ეჭვი არაა, მეტათ გაუძნელებს დემოკრატიას თავის მოვალეობის ასრულებას, მარა ჩვენ მაინც არ დავყრით ფარხმალს. ამიერ-კავკასიის დემოკრატია იცნობს აქაურ სოც.-დემოკრატიას, რომლის დროშის ქვეშ ის დგას არა გუშინდელ დღიდან, არამედ მრავალ წლების განმავლობაში და თავის ენერგიული გამოხმაურებით შეაძლებინებს მძიმე მოვალეობის შესრულებას. ესერების ორჭოფობა და თავის მახვილის უპირველეს ყოვლისა ჩვენს წინაალმდეგ მომართვა, ჩვენ გვგონია თვით მათვე მოუტანს ვნებას და გაუტეხს სახელს იმ მცირე რაზმშიაც კი, რომელიც დღეს კიდევ შერჩენია ამ პარტიას.

## პრესა

სეიმში უკვე დასმულია საკითხი ახალ მთავრობის შედგენის შესახებ. ყველა ერთხმათ აღიარებს მტკიცე მთავრობის საჭიროებას, მაგრამ საქმე ის არის, როგორ შეიძლება ამ მტკიცე მთავრობის შექმნა. ამ კითხვას ეხება კავკასიის ცენტრის ორგანო „იზვესტია". ის სწერს:

„მუსავატი" მედგრათ იცავს კოალიციას ნაციონალურ პრინციპის საფუძველზე. მარცხენა ფრთა კი ასევე მედგრათ ითხოვს ისეთს მთავრობას, რომელიც მთლიან დემოკრატიულ პლატფორმის ცხოვრებაში გატარებას შესძლებს".

ამ სწორ დებულებას გაზეთი აკერებს შემდეგს დასკვნას:

„ჩვენ კვლავ იძულებული ვართ გავიმეოროთ: ჩვენში შესაძლებელია მხოლოდ ერთფეროვანი და მხოლოდ დემოკრატიული მთავრობა, ესე იგი სოციალისტური. ვერც ერთი სხვა მთავრობა ვერ იქნება ავტორიტეტული და დემოკრატია მას მხარს ვერ დაუჭერს".

ჩვენ არ გვესმის, როგორ ურევს „იზვესტია" ასე დომხალივით „სოციალისტურს" და „დემოკრატიულს"? მთავრობა უნდა იყოს დემოკრატიული,—ეს ცხადია, მაგრამ რათ უნდა იყოს უეჭველათ სოციალისტური? სოციალისტური მთავრობა შესაძლებელია მხოლოდ იმ მომენტში, როცა სოციალისტურ წყობილების დასამყარებლათ ნიადაგია მომზადებული და არა ჩვენს პირობებში, როცა ნახევრათ ფეოდალურ კუთხეებთან გვაქვს საქმე.

ასეთია, ბოლშევიკურ ფრაზეოლოგიის გავლენა!

* * *

იგივე „იზვესტია" ეხება საკითხს, თუ რა დამოკიდებულება უნდა იყოს **საოლქო ცენტრსა და სეიმს შორის**. ის სამართლიანათ აღნიშნავს, რომ „სანამ ცოცხლობს და არ დამთავრებულა რევოლიუცია, საოლქო ცენტრმა უნდა იცოცხლოს და ხელიდან არ გაუშვას წითელი დროშა", მაგრამ როცა ეს უცილებო ჭეშმარიტება პრაქტიკულ ნიადაგზე გადააქვს, საშინელ შეცდომაში ვარდება. ის სწერს:

„ყველა მნიშვნელოვანი კითხვა ჯერ ცენტრმა უნდა გაარჩიოს, რომ მისი შეხედულება სეიმმა საქმის დაბოლოების შემდეგ კი არ გაიგოს, არამედ მითი იხელმძღვანელოს.

„პირველ კრებებზედვე თავის უმრავლესობის პირით სეიმმა განაცხადა, რომ ლაპარაკიც კი არ შეიძლება ცენტრის მხრით კანტროლზე და მუშაობაში ჩარევაზე"-ო.

ჩვენ არ გვეგულება ისეთი სრულ უფლებიანი დაწესებულება, რომელსაც როდისმე შესძლებოდა ეთქვა: ჩემს საქმეში ჩაერიეთო. ამას ვერ იტყოდა ვერც სეიმი. ის სრულ უფლებიანი სახალხო წარმომადგენლობაა და **ფორმალურათ** შეუძლებელია მის მუშაობაში ვინმე ჩაერიოს. თუ ამ გზით ვივლით, ჩვენ იმავ დასკვნამდე მივალთ, რა დასკვნამდეც ბოლშევიკები მივიდენ დამფუძნებელ კრების შესახებ.

სულ სხვაა საქმის ფაქტიური მხარე. თუ ვინიცობაა სეიმი ყალბ ნაბიჯს გადასდგამს, ცენტრი ამას მედგრათ შეებრძოლება. ჩვენ სხვანაირათ ვერ წარმოგვიდგენია რევოლიუციონურ დემოკრატიის ორგანო.

ამიტომ დათვურ სამსახურს უწევს ცენტრის ავტორიტეტს ისინი, ვინც ცდილობენ წვრილმან კითხვების გარშემო, ხელოვნურათ შექმნან კონფლიქტი ცენტრსა და სეიმს შუა. ზოგჯერ მტერი ვერ დაგაკლებს იმდენს, რამდენსაც მოკეთის დაუფიქრებელი ნაბიჯი.

* * *

„ყველას, ყველას"—ასეთი მოწოდებით იწყებს წერილს „სახალხო საქმე".

ამ მოწოდებაში ერთი არაკის გმირის მსგავსათ ჩაწიხლეს ფედერალისტებმა რუსეთი და შემდეგ სოციალ-დემოკრატებს მოსდევენ:

„მთელი საუკუნოების მონობით გაანელა ჩვენში სიცოცხლის ძალა, გაქრა ეროვნული სიმტკიცის და თავმოყვარეობის ალი, გაანიავა ჩვენი კერა... მაგრამ ეს იყო რუსეთის მთავრობა და ჩვენც ვუცდიდით რუსეთის ხალხს. ჩვენი ს. დ. მთელ ხსნას ამ ხალხს აწერდა და საკუთარ ტკივილებზე ზრუნვას გვიკრძალავდა".

საინტერესოა გავიგოთ, როდის იყო, რომ ჩვენ საკუთარ ტკივილებზე ზრუნვა ავუკრძალეთ ფედერალისტებს? როდის იყო, რომ ისინი ხალხის ტკივილებზე ზრუნავდენ? როდის აიღებენ ფედერალისტები ხელს წუწუნზე და ტრაბახობაზე და საქმეს შეუდგებიან, თუ მართლა აინტერესებს მათ რაიმე საქმე?

* * *

ნაციონალ-დემოკრატები ანარქიის წინაალმდეგ ილაშქრებენ. „საქართველო" სწერს:

„თუ დაუყონებლივ არ ავლაგმეთ ის ველური გრძნობები და ბნელი სტიქიონი, რომელიც იფლობს ჩვენს შინაურს ცხოვრებას, თუ დაჩქარებით არ განვამტკიცეთ შინაური მშვიდობიანობა და წესრიგი, ჩვენი სამშობლო უმწეო და უძლური იქნება, როგორც შინ, ისე გარეთ".

ეს ყველაფერი მართალია, მაგრამ როგორ ფიქრობენ ნაციონალ დემოკრატები წეს-რიგის დამყარებას, როცა რეფორმების წინაალმდეგ ილაშქრებენ?

## ამიერ-კავკასიის ყველა სოც.-დემ. ორგანიზაციებს

ამხანაგებო!

ბოლშევიკებმა პეტროგრადში გაჰყიდეს ჩვენი სასიცოცხლო ინტერესები. ლენინ-ტროცკის მთავრობას გადაუწყვეტია ბათუმის, ყარსის და არდაგანის ოლქები ოსმალეთს დაუთმოს. ამ ნაირათ ამიერ-კავკასიის მომავალ განვითარებას კარები ეხშობა.

ამ საშინელმა ამბავმა ფეხზე დააყენა თფილისის პარტიული ორგანიზაციები. საგანგებოთ მოწვეულმა შეერთებულმა კრებამ ერთხმათ გადასწყვიტა, რომ საჭიროა ბრძოლა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, რომ გარეშე მტრის შემოსევისაგან დაცულ იქნას ჩვენი ქვეყანა. დადგენილების ძალით ჩვენი ფრაქცია სეიმში მხარს დაუჭერს ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკათ გამოცხადებას, რომ ხელფეხი გავიხსნათ ბოლშევიკურ მთავრობის ოპეკისაგან და გათავხედებულ მტრის სურვილები შევბოჭოთ.

ამხანაგებო! ქვეყანა და რევოლიუცია განსაცდელშია. საჭიროა ბრძოლა, რომ მონური უღელი თავიდან ავიცილოთ. ხალხს, შეიძლება, კარგათ არ ქონდეს გათვალისწინებული, თუ რა საშინელება მოელის მას. ამიტომ მიიღეთ ყოველგვარი ზომები, რომ ხალხის ფართო მასსას აუხსნათ საქმის მდგომარეობა. ამისთვის გამართეთ კრებები და მიტინგები, მოძრაობაში მოიყვანეთ მთელი პარტიული აპარატი.

ეხლავე შეადგინეთ შეიარაღებული რაზმები და აღნიშნულ ადგილების დასაცავათ გაგზავნეთ. ქუთაისის გუბერნიის ორგანიზაციებმა ბათუმის დასაცავათ უნდა გაგზავნონ შეიარაღებული ნაწილები, ხოლო ამიერ-კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილების ორგანიზაციებმა— ყარს-არდაგანისკენ. დაყოვნება შეუძლებელია. შეაგროვეთ იარაღი ყოველ მაზრაში, თავი მოუყარეთ ყველაფერს, რაც კი თავდაცვისთვის გამოსადეგია.

რევოლიუცია განსაცდელშია! მჭიდროთ შეკარით თქვენი რაზმები.

დადგა დრო, როცა დემოკრატიამ თითონ უნდა იკისროს საკუთარი კუთხის დაცვა და თითონ უნდა გამოსჭედოს თავისი ბედი.

**საოლქო კომიტეტი ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა.**

## სროლა ერევანში

ერევნიდან 20 თებ. ამიერ კავკასიის კომისარიატს ატყობინებენ: დღეს, დღის 3 საათზე, მთელ ქალაქში სროლა დაიწყო. სროლის ნამდვილი მიზეზები გამორკვეული არ არის. არის რამდენიმე ვერსია: პირველი ვერსია ქალაქის თათართა ნაწილში წაიჩხუბენ ორი მუსულმანი და ერთმა მეორე მოკლა; მან გამოიწვია სროლა მთელ ქალაქში. მეორე ვერსია: სადგურზე მოხდა შეტაკება მიმავალ მუსულ. რაზმის და სადგურის დამცველ სომეხთა ჯარის ნაწილის შორის, რაც შემდეგ მთელ ქალაქს მოედო და სხვ. სროლა საღამოს 7 საათამდე გაგრძელდა. სროლის დაწყებიდან სომეხთა ნაწილები დადიოდენ ქალაქის სხვა და სხვა ნაწილებში და მშვიდობიანობისაკენ მოუწოდებდენ ხალხს. მსხვერპლი დიდი არ არის. მიღებულია ყოველგვარი ზომები წესიერების დასამყარებლათ.

## მდგომარეობა ბაშკიჩეთის რაიონში

ბაშკიჩეთიდან 20 თებერვალს შემდეგს ატყობინებენ ამიერ კავკასიის კომისარიატს: მოსულ ცნობების მიხედვით ადგილობრივ მუსულმანებს განზრახვა აქვთ თავს დაესხან ქართულ სოფლებს: მიჯას, კალამშას და ქათასანოვკას და დაარბიონ ისინი. მცხოვრებნი ითხოვენ იარაღს მილიციისათვის, რომ ამით შესძლონ შემოსულ მუსულმანთაგან თავის დაცვა. იქიდანვე 21 თებერვალს იტყობინებიან: მდგომარეობა თრიალთის რაიონში მეტათ საშიშოა. შეიარაღებულ მუსულმანთა ბრბო დიდ ზარალს აყენებს მცხოვრებთ. ხალხს ძალა არა აქვს თავი დაიცვას. 19 თებერვალს შეიარაღებული რაზმი თავს დაესხა რუსების სოფლებს. ამავე მუსულმანების მიერ დიდი რბევა და ხოცვა ჟლეტა ხდება კარაკილისში. სარწმუნო წყაროებიდან ვიცით, რომ უნდა დაარბიონ ბაშკიჩეთი, გლეხთა სოფლები და ქარხნები. რადგანაც მილიცია მცირე რიცხოვანია, ადგილობრივი მთავრობის ორგანოები უძლურია რაიმე იღონოს. დამოკიდებულების გამწვავების თავიდან ასაცილებლათ საჭიროა გამოიგზავნოს ინტერნაციონალური რაზმი და არტილერია. თათრები ეშელონებზე ჩამორთმეულ იარაღებით არიან შეიარაღებულნი. ბრბოს განზრახვა აქვს გადასჭრას ტელეგრაფის მავთული.

## სოხუმის ამბები

სოხუმში მომხდარ ამბების შესახებ სოხუმის ოლქის კომისარი ზახაროვი შემდეგს ატყობინებს შინაგან საქმეთა კომისარს: 15 თებერვალს აფხაზთა პოლკის აფიცერს, რომელსაც თან ახლდა ერთი მჴედარი, შეურაცხყოფა მიაყენა მატროსმა, რომელიც იქვე იქნა მოკლული. იქაიამ, სვანიძემ და სხვა პირებმა, რომლებმაც ისარგებლეს მომხდარ ინციდენტით, საჩქაროთ მიყვეს ხელი პროვოკაციას, ვითომც ეს არის თავადების მატროსთა წინაალმდეგ გალაშქრება, და მთელ ქალაქში გამოიწვიეს მოძრაობა. მათ შეადგინეს სამხედრო-რევოლიუციონური კომიტეტი, სადაც თვითონ და მატროსების წარმომადგენლები შედიოდენ. მათ შეუერთდა მოხალისეთა რაზმი, რომელიც იმ ხანათ სადარაჯოზე იდგა. ემუხვარი პირველათ გაიქცა, მაგრამ მალე დაიჭირეს და იქაიევს და მატროსებს გადასცეს. მატროსებმა იგი ოროქლში გამოალრჩვეს. მხედარი, რომელიც მასთან ერთათ დაიჭირეს, მატროსებმა ნაკუწ-ნაკუწათ აქციეს. მოდარაჯე როტამ ამ დროს გამოუშვა ტუსაღები, რომლებიც მას შეუერთდენ. ქალაქს თავს დატრიალებდა ჰიდროპლანები, რომლებიც მაღლიდან ყუმბარებს ჰყრიდენ. ეშერაში, სადაც აფხაზთა ნაციონალური საბჭოა მოთავსებული, მოკლულ იქნა ორი ბავშვი. წითელი გვარდია განმარტოვებული დარჩა. ის იძულებული შეიქნა ეშერისაკენ წასულიყო აფხაზთა რაზმთან შესაერთებლათ, რომელმაც გვარდიას აღუთქვა დაეხმაროს ქალაქში წესრიგის დამყარებაში. 19 თებერვალს მოვიდა კრეისერი „პრინც კარლ" და დაუშინა ქალაქს ყუმბარები; შემდეგ ცეცხლი ეშერისაკენ მიმართა. შეშინებულმა მცხოვრებლებმა იწყეს ქალაქიდან გაქცევა. დაიწყო ძარცვა-გლეჯა და ანარქია. ჩვენს განკარგულებაში ცოტა ძალა იყო; ქართულ ნაწილებმა დახმარება არ გაგვიწიეს. ქალაქიდან აიღეს კონტრიბუციის სახით 15 ათასი მანეთი. კრეისერის წასვლის შემდეგ წითელი გვარდია აფხაზებთან და სომეხ-ბერძნებთან ერთად შემოვიდა ქალაქში და სეუდგა წესრიგის დამყარებას; ახადეს იარაღი მოდარაჯე რაზმს. შესდგა საზოგადოებრივ მშვიდობიანობის დამცველი კომიტეტი. ადგილობრივი მეგრელების სულიერი განწყობილება ბოლშევიკურია. საჭიროა შეიქმნეს ადგილობრივათ ძლიერი რაზმი, რომელიც შესძლებს წესრიგის დაცვას. ადგილობრივ სოციალისტურ პარტიების აზრით, ასეთი რაზმი შეიძლება შესდგეს აფხაზებიდან.

---

სოხუმის ამბების შესახებ შინაგან საქმეთა კომისარმა 21 თებერვალს განსაკუთრებული დეპეშა გაუგზავნა შავი ზღვის ფლოტის უფროსს, რითაც კომი-

## ბოლშევიკები და გერმანიის სოციალ-დემოკრატია

ქვემოთ მოყვანილი წერილი ეკუთვნის გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მემარცხნე ფრთის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენელს. იგი მოთავსებული იყო ხელმოუწერელათ სოციალ-დემოკრატიულ გაზეთ „ნოვაია ჟიზნში", რომელიც ბოლშევიკების მიმართ არასოდეს არ აწარმოებდა სასტიკ ბრძოლას, იმ გარემოებას, რომ წერილი ხელმოუწერელია, გაზეთი ასე ხსნის: მკითხველი, რომელმაც იცის თუ როგორ დევნას განიცდის დღეს გერმანიაში ყოველგვარი „პორაჟენცული" (დამარცხების) ტენდენცია, ადვილათ გაიგებს რატომ არ შეგვიძლია ავტორის გვარი გამოვაქვეყნოთ.

ბოლშევიკების მოღვაწეობა ძლიერ განცვიფრებასა და უდიდეს შიშს იწვევს სწორეთ ნემეც სოციალ-დემოკრატთა იმ წრეში, რომელიც თავის მსოფლმხედველობით ბოლშევიკების მონათესავეა, თავისი უკანასკნელი აქტით მათ შეუძლიათ ისეთი ზიანი მოუტანონ საერთაშორისო პროლეტარიატის საქმეს, რომელსაც მსოფლიო კატასტროფის ხასიათი ექნება. ბოლშევიკების გერმანელი თანამოაზრენი ამჟამათ მოკლებული არიან თავის ყოფილ რუსეთელ მეგობრებს გადასცენ კრიტიკული შენიშვნები მათ მიერ ჩამოგდებულ დროებით ზავსა და განზრახული სეპარატიული ზავის შესახებ. დამოუკიდებელ სოციალისტებს პასპორტების მიცემაზე უარი უთხრეს სტოკჰოლმში წასასვლელათ, ვერც იმის ნიშნებს ვამჩნევთ, რომ ლენინსა და ტროცკის თითქო ძალიან უნდოდეთ გაიგონ მათი გერმანელი მეგობრების სულიერი განწყობილება; ყოველ შემთხვევაში ჩვენ არაფერი ვიცით იმის შესახებ, რომ ბოლშევიკებმა გერმანელ გენერლებსა და დიპლომატებს მოსთხოვეს პასპორტების მიცემა—საიდუმლო დიპლომატიაზე კი მათ თითქო ხელი აიღეს! გერმანიის სამხედრო წრეებში რუსებთან კეთილ სამშვიდობო მოლაპარაკებას დაუფარავათ ხსნიან იმ გარემოებით, რომ ვინც საჭირო იყო ყველანი მოვიყიდეთო; რაც შეგვეხება ჩვენ, ნემეც სოციალისტებს, ლენინ-ტროცკისთან მრავალი წლის ერთად მუშაობის შემდეგ დარწმუნებული ვართ მათ პირად პატიოსნებაში, მარა მიუხედავათ ამისა მაინც გაურკვეველი ამოცანის წინაშე ვდგევართ. ზოგიერთები ამ ამოცანას ისე ხსნიან, რომ ბოლშევიკებმა პირველათ პრაქტიკული მოსაზრებით ისარგებლეს ნემეცების ფულით, რომ თავისი აგიტაცია გაეძლიერებიათ და ამ მოუფიქრებელი ნაბიჯის გამო დღეს აღარ ძალუძთ თავი დააღწიონ ხაფანგს. ნემეცი სოციალისტები იძულებული არიან ასეთი ეჭვები გაიზიარონ, ვინაიდან გერმანიაში არავის შეუძლია დაიჯეროს, თითქო ბოლშევიკებს გულწრფელათ სწამდეთ თავისი პოლიტიკის რევოლიუციონური შინაარსი. ბოლშევიკების ხელმძღვანელნი მშვენივრათ იცნობენ გერმანიის როგორც პროლეტარიატს, ისე გაბატონებულ კლასებს იმისთვის, რათა ვერ გაიგონ, რომ ერთად ერთი დასაშვები მოსაზრება, რომელიც გაამართლებდა მათ პოლიტიკას, სინამდვილეში მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს: არავითარი იმედი არ არის იმისა, რომ გერმანელი მუშა მიბაძავს რუსეთის რევოლიუციის მაგალითს და მოახდენს ბოლშევიკური ხასიათის რევოლიუციას. უკანასკნელი სამ ნახევარი წლის განმავლობაში გერმანელი პროლეტარიატი შეეჰყრია სრულ გონებრივ დაჩლუნგებასა და პოლიტიკურ სიჩერჩეტეს, თუმცა მუშები ლაპარაკობენ სამხედრო მოგებასა და ცხოვრების გაძვირებაზე, მარა ეს მათ ხელს არ უშლით უდრტვინველათ და უმოძრაოთ ატარონ თავისი დღენი. თუ ზოგიერთები სხვანაირათ ფიქრობენ და რაიმე მისწრაფება აქვთ, უნდა ითქვას მათი რიცხვი ძლიერ მცირეა.

ზედმეტი სიფრთხილე იყო ჩვენი ცენზურის მხრივ, რომელიც რუსეთ-გერმანიის სამშვიდობო მოლაპარაკების კრიტიკას სდევნის,—აკრძალვა ტროცკის მოწოდებისა გერმანელ სალდათებისა, ხალხისა და მუშათა ინტერნაციონალისადმი. სულ ერთია ეს მოწოდებები არავითარ გავლენას არ მოახდენდა და ვერც ვერავის გაიტაცებდა. ალბათ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ თანამედროვე გერმანიის ბატონ-პატრონნი ასე მოხერხებულათ ვაჭრობენ პაციფიური და რევოლიუციონური იდეებით. ამ მხრივ მათ საშიში არაფერი აქვთ არც ჯარში და არც შინ. პირიქით, ბოლშ. საქციელმა დაამშვიდა პოლიტიკურათ მოაზროვნე მუშათა ის მცირე აქტიური ჯგუფები, რომელნიც ის-ის იყო მოძრაობას იწყებდენ. ამ მუშებმა იფიქრეს, რომ მოახლოვდა დიდი ხნის სურვილი ზავი; რისთვისაც უნდა ვიბრძოლოთ, როცა ზავს მთავრობა იძლევაო. ხოლო თუ ზავი არ იქნება, ცხადია ვიღაც სხვა ყოფილა დამნაშავე, გერმანიის ხალხი კი ისევ ნდობით გაყვება კუდში ჰინდენბურგებსა და ლიუდენდორფებს. მეორე მხრით ბოლშევიკები არც იმდენათ უკოდინარი ხალხია, რომ ნათლათ არ ხედავდენ შემდეგს: რა ნაირი პირბადეც უნდა აფარონ დიპლომატებმა, გერმანიის გაბატონებული სამხედრო პარტია არას შემთხვევაში არ მოასურვებს და არ შეურიგდება ხალხთა დემოკრატიულ ზავს. იგინი უკანასკნელ ჯარისკაცს შესწირავენ, ვიდრე დათმობენ იმ მონაპოვარს, რისთვისაც ომი დაიწყო. ტყუილათ კი არ უთხრა გერმანიის მთავრობამ 1914 წლის 4 აგვისტოს პარტიის ბელადებს (და მათ რიცხვში ს.-დემოკრატებს), რომ აღმოსავლეთ ფრონტზე კურლიანდიის და ლიტვის შემოერთება აუცილებელია და მას არას გულისთვის არ დავსთმობთო. გერმანიის იმპერიალიზმმა კარგათ იცის თავის მდგომარეობა. თუ ის ბრძოლის ველიდან ისე დაბრუნდა, რომ ნადავლი არ მოუტანა გერმანიის ხალხს, როგორიც ის ეხლა არის, მოთმინება დაეკარგება და მისი დაღუპვა აუცილებელია. მათთვის კითხვა ასეა დასმული: ან ყველაფერი ან არაფერი. ამ დღეებში სამხედრო მინისტრმა განაცხადა, რომ შესდგა ულტრა-ანექსიონისტური „სამშობლოს პარტია" და „ნება მისცა" (წაიკითხეთ წესდება) სამხედრო პირებს შევიდენ ამ პარტიაში, აქედან ცხადია, რომ ნემეც დიპლომატებს უნდათ დაშალონ სამხედრო დიქტატურით გეგმა და აზრი. ყველა ეს ბოლშევიკებმა უნდა იცოდენ და თუ იმათ კიდევ უნდათ ისე აჩვენონ თავი თითქოს ვილჰელმ მეორეს გენერლები დაეთანხმენ მათ, ნემეცი პატიოსანი სოციალისტები ამას ისე გაიგებენ, რომ ისინი მოქმედებენ წინასწარ განზრახულ გეგმით. გერმანიის დელეგაციამ მეგობარი ბოლშევიკები სასაცილოთ აიგდეს მოლაპარაკების დროს. ცოტაა ის, რომ გერმანიის მთავრობამ, მიუხედავათ დროებით შერიგების ხელშეკრულებისა, რომელშიაც აღნიშნული იყო ჯარები არ გადაეყვანათ, აუარებელი ჯარი გადაიყვანა დასავლეთის ფრონტზე, მან ხელშეკრულობაში შეიტანა ისეთი მუხლი, რომლითაც მას ნება ეძლევა დაასრულოს ჯარების გადაყვანა. ამით გერმანიამ პირველ მიზანს მიაღწია: დასავლეთის ფრონტზე აუარებელი ჯარი გადაიყვანა. ეს მახინაციები იმისთვის კი არ გამოიყენა გერმანიამ, რომ მართლა ზავი შეეკრა, არამედ იმისთვის, რომ სასრულეში მოეყვანა თავის სამხედრო გეგმა. იანვარში დაიწყება დიდი შეტევა დასავლეთის ფრონტზე, რომ თავზარი დასცენ საფრანგეთს. არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ ბოლშევიკები დაეთანხმდენ დაეკმაყოფილებიათ გერმანელების მეორე მოთხოვნა სამეურნეო დამოკიდებულების დაუყოვნებლივ დაწყების შესახებ. გერმანიამ ამით უზრუნველყო, რაც შეიძლება მეტი ნედლი მასალა შეზიდოს რუსეთიდან და სამეურნეო კრიზისი თავიდან აიცდინოს. ამ მხრით გერმანიას დიდი საფრთხე მოელოდა და აქაც ბოლშევიკებმა დაიხსნეს. ბოლოს ბოლშევიკებმა შეასრულეს გერმანიის პოლიტიკის მეორე მოთხოვნა: ამ ყველა ქვეყნის სოციალისტებზე უებრო რევოლიუციონერებმა, რომლებსაც სურთ უცბათ განახორციელონ სოციალიზმი, განაცხადეს, რომ მათი საზავო პროგრამა და სამხედრო მთავრობის პროგრამა ისე ეთანხმება ერთი მეორეს, რომ შეიძლება ის საფუძვლათ დაედოს საყოველთაო დემოკრატიულ ზავს; ამით ხელი შეუწყვეს ნემცების ინტრიგებს, რომლის შემწეობით გერმანელები მოხერხებულათ აფარებენ თავს მშვიდობიანობის მორთულობას და უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის სახელით განხეთქილება შეაქვთ შეთანხმების სახელმწიფოთა რაზმებში. ბოლშევიკებმა ხელი შეუწყვეს იმ ინტრიგებს, რომლის შემწეობით ნემეც ხალხში უქვეშევრდომილეს გრძნობებს აღვივებენ შეთანხმების სახელმწიფოებთან, რომელნიც ზავის მტრებათ გამოყავთ. ძალათ ჩამოშორების და პოლიტიკურ დამოუკიდებლობის წართმევის უარყოფა სრულიად განსაზღვრული არ არის და ისე იეზუიტურათ არის შედგენილი, რომ მისი მიღება უკიდურეს ანექსიონისტსაც შეეძლო, პოლიტიკური დამოუკიდებლობა არ უარყოფს ვასალურ დამოკიდებულებას სამხედრო და ეკონომიურ მხრით. მეორე მხრით 1870—71 წელს ელზას-ლოტარინგიის შემოერთება არ იყო ძალდატანებითი, რადგან საზავო მოლაპარაკების დროს ამის შესახებ შეთანხმება მოხდა, რომ გერმანიამ უარი სთქვა ზარალის ანაზღაურებაზე ეს დიდს არაფერს ნიშნავს, რადგან თვით გერმანიამ მოახდინა უმთავრესათ განადგურება.

რაც შეეხება თვითგამორკვევაზე დემოკრატიულ უფლების მოთხოვნას, ამის შესახებ ცენტრალურ სახელმწიფოებმა მტკიცე უარი უთხრეს: სამაგალითოთ შეასრულეს გერმანელებმა ის, რომ თავის მხრით გადასდვეს ზავის შეკვრამდე შემოერთებულ ქვეყნებიდან ჯარების გაყვანა და რუსებს დაუყოვნებლივ გაეყვანათ ჯარები გერმანიის ახალშენებიდან. არა ნაკლებ შეასრულა მეორე მანევრაც გერმანიამ: მისცა, მათი წინადადების თანახმათ, რუსებს ათი დღის ვადა საყოველთაო ზავზე მოსალაპარაკებლათ და ამავე დროს წინადადება მისცა სეპარატიული მოლაპარაკება დაეწყოთ მასთან. ნემეცი გმირი აფიცრები აღტაცებაში მოდიან ამ წმინდა წყლის რევოლიუციონერების სამაგალითო მოქმედებით. გენერალი გოფმანი დაცინვით იგონებს, როგორ უპასუხა მან ბოლშევიკების გრძელ-გრძელ „რეჩებზე" პრინციპების შესახებ: „ნება მომეცით, ბატონებო, მოგახსენოთ: რა საქმე მაქვს მე თქვენ პრინციპებთან". ბოლშევიკები არა თუ მსხვერპლათ სწირავენ თავიანთ პრინციპებს, არამედ, როგორც მათი მეგობარი შეიდემანი, ისე აჩვენებენ, თითქოს გერმანიის მილიტარიზმი მათ სოციალ-დემოკრატიულ-რევოლიუციონურ პრინციპებს დაადგა. და თუ ამას იგინი სჩადიან შეგნებულათ, თუ სისულელით, იგინი წააგვანან გერმანიის იმ უცხოეთის აგენტებს, რომლებზეც ურიცხვ მილიონებს ხარჯავენ, რომ მათ გაავრცელონ შეთანხმების სახელმწიფოთა ხალხში და ნეიტრალურ სახელმწიფოებში პაციფიზმის, ანტიკაპიტალიზმის, ანტიმილიტარიზმის და ანტირევოლიუციის იდეა. ამ პოლიტიკით ბოლშევიკები რუსეთისთვის და ამ ომით განაწამებ ყველა ერთათვის არა ზავს ამზადებენ, არამედ ნემეცთა მილიტარიზმის ტრიუმფს, რომელიც სრულიადაც არ ფიქრობს ბოლშევიკების სარწმუნოება მიიღონ, ნემეცთა ოპოზიცია იძულებულია ჩუმათ იყოს. ნემეცთა მასსა ძალას ჰკარგავს იქ ფრონტზე, ან შინ უსურსათობის გამო, გამყიდველი პრესა უხმოთ ასრულებს სამხედრო ბიუროს ბრძანებას. რეიხსტაგის წევრები სახლებში გაისტუმრეს; სანამ რუსეთთან მოლაპარაკებას შეუდგებოდენ. გერმანიის მილიტარიზმი ყოვლად შემძლეა და ამაყათ მიდის წინ. მას იარაღით ხელში მედგრად იცავენ მისი ერთგული ბოლშევიკები.

სარი სთხოვს მას მიიღოს ყოველგვარი ზომები მომავალში ასეთ სამწუხარო მოვლენისაგან სოხუმის და სხვა სანაპირო გაუმაგრებელ ქალაქების უზრუნველსაყოფათ.

ასეთივე დეპეშა იქნა გაგზავნილი ბათუმის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს სახელზე განკარგულებით, რათა საბჭომ გაგზავნოს თავის წარმომადგენელი სოხუმში საქმის გამოსარკვევათ და ზომების მისაღებათ, რომ მომავალში ასეთი მოვლენები არ განმეორდეს.

## მდგომარეობა ერევნის გუბერნიაში

21 თებერვალს ერევნიდან შემდეგს იტყობინებიან: მიუხედავათ ბევრი ცდისა, საქმე მშვიდობიანათ დათავებულიყო, შეიარაღებული მუსულმანთა ბრბო მაინც განაგრძობენ მიმავალ ეშელონებზე, სამგზავრო და საბარგო მატარებლებზე თავდასხმას; ანადგურებენ სადგურებს, არბევენ სასურსათო საწყობებს და იტაცებენ საქონელს. გაგზავნილ სომეხ-მუსულმანთა დელეგაციამ ვერაფერი მოაგვარა; მას თოფები დაუშინეს. უკანასკნელ ხანებში მუსულმანებმა თავი მოიყარეს ულუხანლუსა და ახამ-ზელუს რაიონებში და სისტიკ თავდასხმას აწარმოებენ ეშელონებზე. 19 თებერვალს შეიარაღებულ ძალის საშუალებით ამ რაიონში აღდგენილ იქნა წეს-რიგი. მიღებულია ზომები ტელეგრაფით დამოკიდებულების აღსადგენათ. ჯარების მხრივ მოკლულია 2 აფიცერი და 9 ჯარისკაცი; დაჭრილია—2 აფიც. და 7 ჯარისკაცი. მეორე ცნობის მიხედვით, განჯაში მომხდარა ყველა ადგილობრივ ორგ. წარმომადგენლების კრება, რომელზედაც გადაწყვეტილება გამოუტანიათ ქალაქში სამხედრო წესების გამოცხადების და სამხედრო-რევოლიუციონურ სასამართლოს დაარსების შესახებ. სამხედრო-რევოლიუციონურ სასამართლოში 7 პირი შედის: 3 მუსულმანი, 3 სომეხი და ერთი რუსი. ეშელონების გატარების დროს გადაწყვეტილია წინ გაიგზავნოს შერეული დელეგაცია, რომელიც მოამზადებს მცხოვრებთ და მათ საჭირო ახსნა-განმარტებას მისცემს.

## მდგომარეობა განჯის გუბერნიაში

განჯიდან იტყობინებიან: სოფ. ევლახის და კარახილის მშვიდობიანი მცხოვრებნი გაძარცულ-დარბეულია. მიმავალ ეშელონების და თათართა ბრბოების შორის შეტაკებას ასობით მსხვერპლი მოჰყვა. მცხოვრებთა სულიერი განწყობილება მთელ განჯის გუბერნიაში მეტათ საშიშარია. მცხოვრებნი წინააღმდეგნი არიან ეშელონების გაშვების; ასეთ მოქმედებისთვის მთელ პასუხისმგებლობას მცხოვრებნი განჯის კომისარიატს აკისრებენ. ითხოვენ ჯავშნიან მატარებელს.

## ახალი ამბები

**შემოსავლის კვალობაზე გადასახადი.** მიუხედავათ იმისა, რომ თფილისის სახაზინო პალატამ მოუწოდა მოქალაქეებს შემოეტანათ განცხადებები შემოსავლის შესახებ,—ეს განცხადებები ნაკლებათ შემოდის. სახაზინო პალატა ერთხელ კიდევ მოაგონებს ამის შესახებ მოქალაქეებს; ამასთანავე მიუთითებს მათ, რომ ის პირები, ვინც 1 მარტამდე არ შემოიტანს განცხადებას კანონის ძალით დაჯარიმებულ იქნება 200 მანეთით. განცხადებები შემდეგ ალაგებში უნდა იქნას შეტანილი: 1 და მე-2 სამილ. უბნ.—ივანოვო-ბოგოსლოვის ქ., სარაჯიშვილის სახლი და ვერის დაღმართის კუთხე, მელიქ-აზარიანცის სახლი; მე-3, 9, 4, 5 და მე-6 უბ.—ლერმონტოვის ქ., № 3 და გუნიბის № 43; მე 7, 8, 10, 11 და მე-12—გრაფის და ტროიცკის ქუჩების კუთხე № 10, დიდი მთავრის ქ. № 68 და გლდანის შესახვევი № 13. დროებით მთავრობის კანონის ძალით შემოსავლის კვალობაზე გადასახადის გაღება ევალება იმ პირებსაც, რომლებიც წინათ განთავისუფლებული იყვენ, სახელდობრ: სამოქალაქო უწყების ყველა პირები ნაწილებში, სამმართველოებში და დაწესებულებებში მოსამსახურენი, რომლებიც მომქმედ ჯარში და ფლოტში ითვლებიან. მაგრამ რადგანაც გადასახადის ერთად გადახდა ძნელი აღმოჩნდებოდა გადამხდელებისათვის, ამიერ-კავკასიის კომისარიატმა შესაძლებლათ სცნო 1917 წლის გადასახადის ნაწილობრივათ გადახდა: გადასახადის პირველ ნახევარს გადამხდელი იხდის გადასახადის ფურცლის მიღებიდან ერთი თვის შემდეგ, მეორე ნახევარს კი მიღებიდან 3 ნახევარ თვის განმავლობაში.

→ **ლაბორატორია.** კავკასიის ქალაქთა კავშირს განზრახვა აქვს მოაწყოს ქუთაისში საქიმიო საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. ამისთვის საჩქაროთ შეეკითხენ ქალაქის თავს კალანდარიშვილს ქალაქთა კავშირი ქუთაისის თვითმართველობის განკარგულებაში გზავნის ტრაპეზუნდიდან გადმოყვანილ ბაქტერიოლოგიურ რაზმს.

→ **ჩხრეკა საერობო კავშირში.** ამიერ კავკასიის კომისარიატის საავტომობილო საქმის რწმუნებულმა კუზნეცოვმა რამდენიმეჯერ მიმართა საერობო კავშირს, რათა მიეცა მისთვის ბენზინი, რომელიც მეტათ საჭიროა საავტომობილო მიმოსვლისთვის, საერობო კავშირი ყოველთვის უარით უპასუხებდა, რომ ბენზინი არ არისო. 20 თებერვალს კუზნეცოვმა მუშ. და ჯარისკაცთა დეპ. საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენელთან ერთად მოახდინა ჩხრეკა აღნიშნულ დაწესებულებაში და 1100 ფუთზე მეტი ბენზინი აღმოაჩინა.

→ **ლაზარეთების დახურვა.** კავკასიის ჯარების უფროსის ბრძანებით დახურულ იქნა ლაზარეთები: ბაქოში—№№ 1, 5, 6, 7, 10, 18 და 20; ეკატერინოდარში №№ 75 და 80 და ბათუმში № 3.

→ **დემობილიზაცია.** კავკასიის ფრონტიდან დიდძალი ჯარისკაცები მიდის შიდა რუსეთში, ამას შეიძლება მოჰყვეს ავათმყოფობის გავრცელება, მით უმეტეს, რომ ტუაპსეში უკვე შავი ჭირის ნიშნები არის. ამიტომ ქალაქთა კავშირის მოსკოვის განყოფილებამ დაავალა განსაკუთრებულ სადემობილიზაციო კომისიას მოაწყოს სადემობილიზაციო გზებზე საექიმო დახმარების პუნქტები ამიერ კავკასიიდან დაწყებული შიდა რუსეთამდე.

→ **ქალაქთა კავშირში შესვლა.** ხაშურის ქალაქის თვითმართველობამ გადასწყვიტა შევიდეს ქალაქთა კავშირში.

→ **ქალაქის გამგეობათა საყურადღებოთ.** კავკასიის ქალაქთა კავშირის საწყობებში ინახება სხვადასხვა ნივთები, როგორც მაგალითად: საკეცი სკამები, მაგიდები, თუნუქის ქოთნები, ლურსმანი და სხ., რომლებიც ქალაქთა გამგეობებს შეუძლიათ დაიკვეთონ. შახტახტისაკენ ნივთების გაგზავნა მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება, როცა რკინის გზაზე მიმოსვლა აღდგენილი იქნება.

→ **სურსათი.** 21 თებერვალს გორიდან თფილისში შემოიტანეს 2 ვაგონი ფქვილი.

→ **ოზურგეთის ქალაქის თავმა** ქალაქის საბჭოს დადგენილების თანახმათ აღძრა შუამდგომლობა კავკასიის ქალაქთა კავშირის კომიტეტის წინაშე, რათა ქალაქს მიეცეს 200 საწოლიანი საავათმყოფოსთვის საჭირო მოწყობილობა, წამლები, ინვენტარი და სხ. საბჭომ დაავალა გამგეობას ააგოს საავათმყოფოსთვის შენობა. გარდა ამისა გამგეობას განზრახული აქვს სადეზინფექციო კამერისა და ტელეფონის სადგურის მოწყობა.

→ **ფქვილის რეკვიზიცია.** ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ რეკვიზიცია უყო 200 ტომარა ფქვილს, რომელიც ქალაქთა კავშირის მთავარ გამგეობამ გამოგზავნა თფილისში.

→ **სავარჯიშო საზოგადოება „ამირანი"** 6 მარტს ქართულ კლუბში მართავს გიმნასტიურ-მუსიკალურ საღამოს.

→ **კოოპერატორთა და მეთამბაქოეთა საყურადღებოთ.** ამიერ-კავკასიის მეთამბაქოეთა ბიურო ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა გამგეობასთან შეთანხმებით მოაგონებს ყველა კოოპერატიულ კავშირთა წარმომადგენლებს და მეთამბაქოეთა ორგანიზაციებს, დაესწრონ ყრილობას 1918 წლის 1 მარტს. მისამართი: ქ. თფილისი მიხეილის პრ. № 178.

→ **გრიგორი დოლიძე.** 21 თებერვალს თფილისის სადგურზე ჩამოასვენეს 18 თებერ. პროვოკაციის მსხვერპლათ გამხდარი სადგ. ნავთლუღის კომიტეტის და სამხედრო საბჭოს წევრი ამხ. გრიგორი დოლიძე. ამხანაგებმა განსვენებულის პატივსაცემათ იმღერეს სამგლოვიარო ჰიმნი. ადგილობრივი მუშები დროშებით დახვდენ სადგურზე. ცხედარი სოფ. ამაღლებაში გააცილეს წითელ რაზმელებმა, ყველა დარგის მუშათა პროფესიონალურ კავშირების, ცენტ. კომიტეტის და სახელოსნოს კომიტეტის წარმომადგენლებმა.

→ **გ. დალაქიშვილის მოკვლის გამო.** კავკასიის სასურსათო გამგეობამ შემდეგი დეპეშა მიიღო გორიდან: „გორის რევოლიუციონურ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, გამოსთქვამენ თავიანთ ღრმეს აღშფოთებას დალაქიშვილის მხეც მკვლელთა წინააღმდეგ, რომელიც მთელი თავისი არსებით სასურსათო საქმის საკეთილდღეოთ მუშაობდა. მისი ხსოვნა არას დროს არ მოკვდება ჩვენში. გადაეცით ჩვენი თანაგრძნობა განსვენებულის ოჯახს. თავმჯდომარე გ. მაჩაბელი".

→ **მასწავლებელთა ყრილობა.** დას. საქ. სახ. მასწავლებელთა აღმასრულებელ კომიტეტის 14 თებ. მოწერილობის თანახმათ 3 მარტს (შაბათი) დღის 2 საათზე ქ. ახალსენაკში (ნორმალურ ორ კლასიან საწ. დარბაზში) მოხდება სენაკის მაზრის სახალხო მასწავლებელთა ყრილობა სამაზრო ინსპექტორის ასარჩევად. მასწავლებელთ მოუწოდებენ დაესწრონ ყრილობას და მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში.

→ **თფ. სახ. სემინარიის მოწაფეთა საყურადღებოთ.** თფ. ქართულ სასულ. სემინარიის მმართველობა მოწაფეთა საყურადღებოთ შემდეგს აცხადებს: სწავლა აღნიშნულ სემინარიაში დაიწყება ამა წლის 6 მარტს; ყოველი სემინარიელი, რომელიც თავისუფალია სამხედრო ბეგარისაგან, ვალდებულია აღნიშნულ რიცხვში გამოცხადდეს სემინარიაში; იმათ, ვისაც ჯერ 19 წელიწადი არ შესრულებია და სამხედრო სამსახურში მსახურობენ, როგორც მოხალისენი, უნდა წარმოუდგინონ სემინარიის მმართველობას შესაფერი მოწმობა სამხედრო ნაწილის უფროსისაგან; ვინც სწავლის დაწყების შემდეგ ერთი კვირის განმავლობაში არ გამოცხადდება სემინარიაში არა საპატიო მიზეზის გამო, გამორიცხული იქნება სემინარიიდან.

→ **გაფიცვის შეწყვეტა.** კავკასიის საოლქო სამიმოსვლო გზების მუშათა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის და კავკასიის ჯარის გზების სამმართველოს გადაწყვეტილების თანახმად აღნიშნულ დაწესებულებათა მოსამსახურეების გაფიცვა 18 თებერვლიდან შეწყვეტილია, მუშების მოთხოვნილება ინჟინერ ისაევის გაძევების შესახებ დაკმაყოფილებულ იქნა.

→ **დაკარგული ადამიანი.** სადგურ მუგანში მომხდარ არეულობის შემდეგ დაიკარგა ამავე სადგურის ტელეგრაფისტი ისიდორე კონონის ძე ვასაძე. დაბეჯითებით სთხოვენ მის ამხანაგებს და ნაცნობებს თუ რაიმე იციან მის შესახებ აცნობონ შემდეგი მისამართით: თფილისი, ქალაქის ტრამვაის კანტორა, ივანე დ. ვასაძე.

**კრებები და მიტინგები.**

დღეს, საღამოს 7 საათზე, სახალხო თეთრ დარბაზში მოხდება კავკასიის მუშ., ჯარის-კაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის კრება.

## პროვინციის ქრონიკა

**სოფ. ბაგის ჭალა.** (დუშეთის მაზრა). 20 თებერვალს ვიღაც უცნობებმა გაძარცვეს მცხეთიდან მომავალი მეურმეები. ალექსანდრე კახალვაშვილს წაართვეს 1600 მან., ილია ავსაჯანოვს—770 მან.

**ს. ძეგულეთი.** ამ ბოლო დროს აქ თავი იჩინა ყაჩაღობამ. ამას წინათ გაძარცვეს საავარაკო სახლები. ქალს და ბავშვებს ტანისამოსიც არ შეარჩინეს. 15 იანვარს თავს დაესხნენ წითელი ჯვრის ექიმს. მოკლულ იქნა ერთი ყაჩაღი.

**სოფ. ნორიო.** (თფილისის მაზრა). 13 იანვარს და 2 თებერვალს სკოლის დარბაზში გაიმართა საბავშო წარმოდგენები. მონაწილეობას იღებდენ სკოლის მოწაფეები. ხალხი კმაყოფილები დარჩა ამ წარმოდგენებით. წმინდა შემოსავალი იყო 123 მან. შემოსული ფული გადასწყდა გადაეცეს მომავალ სამკითხველოს გამგეობას.

## საით მივდივართ?*)

ეს საბედისწერო კითხვა დღეს პეტროგრადში პირზე აკერია, ყველას თავსატეხი კითხვა გამხდარა და არავინ კი არ არის, რომ ამის პასუხი გამონახოს. მდგომარეობა მეტათ გამოურკვეველი და საშიშოა.

აი ერთი მსხვილი სამეტალურგიო ქარხანა, სადაც 700 მუშა შეგროვილა და მიიღეს რეზოლუცია საჩქაროთ მოიწვიონ დამფუძნებელი კრება (ეს იყო დეკემბრის შუა რიცხვში); მეორე დღეს ამავე ქარხნის ბოლშევიკებმა ეს რეზოლუცია კონტრ-რევოლიუციონურათ აღიარეს და დაადგინეს ამ კრების მონაწილენი რევოლიუციონურ სამართალში მიეცათ. აი მეორე ქარხანა (პატრონების), შეიკრიბა 1000 მუშა და გადასწყვიტეს მიიღონ მენშევიკ-ინტერნაციონალისტების რეზოლუცია: 50 ბოლშევიკი ეძახის წითელ გვარდიელებს, რომლებიც ხელათ ერეკებიან კრებას. ასეთი ფაქტი ყოველდღე მრავალია. ტროცკის ფრაზა—დემოკრატიული პრინციპი ბურჟუაზიული მძორიაო ჩვეულებრივ ფრაზათ გადაიქცა, მოსკოვში და პეტროგრადში ჩვენ აღვიარეთ დემოკრატია. წითელი გვარდია გვიცავს ჩვენ მავნე აზრებისგან, უსაზღვრო ოცნებებისგან და თვით ჩვენი თავისგან. წითელი გვარდია—ეს ჩვენთვის ყველაფერია: შეუცდომელი ტიპი, სამხედრო საველე მოსამართლე, აზრის ცენზორი, და სოციალიზმის განმარტებელი, ჩვენი წარსულის მგრეველი, ჩვენი მომავლის მშენებელი.

ეს კომუნისტურ სახელმწიფოს არქიტექტორები ცდილობენ: მოსკოვში დღე არ გაივლის ისე, რომ მთელი უბნები არ გასჩხრიკონ წითელ-გვარდიელებმა და ნადავლით არ დაბრუნდენ სახლში, მიაქვთ პალტოები, საათები, ფეხსაცმელები და სხვა, ზოგიერთ მათ უფროსებს უნდათ ცოტათი შესუსტონ ეს მეტის მეტი ერთგულება, მაგრამ ამაოდ. მუშები უკან იწვევენ წითელ გვარდიელებს, გამოაქვთ რეზოლუციები მათთვის იარაღის აყრის შესახებ, მაგრამ ამაოდ. სამოქალაქო ომის ჯარი მრავლდება ქარხნებიდან გამოგდებულ უმუშევრებით, საფრანგეთში უმუშევრობასთან საბრძოლველათ აარსებდენ ეროვნულ სახელოსნოებს. ჩვენ, რუსები სრულიად უბრალოთ მოვიქეცით—უმუშევრებს იარაღი მივეცით ხელში და შინაურ ფრონტზე მათი ხოცვით უმუშევართა რიცხვს ვამცირებთ.

მათ დაუყენეს გამოცდილი ხელმძღვანელი: პოლკოვნიკი მურავიოვი, გვარდიის პორუჩიკი რემნევი და მრავალი სხვა. ხარკოვში კიევზე გალაშქრების დროს მურავიოვმა სავაჭრო-სამრეწველოების მოსამსახურეთა კრებაზე შემდეგი ბრძანა: „იცოდეთ, რომ ძველი რეჟიმის დროს წინათ გაასამართლებდენ და შემდეგ სიკვდილით სჯიდენ, ჩვენ კი ჯერ სიკვდილით ვსჯით და მერე ვასამართლებთ". მოსულ ჯარის კაცების და წითელ გვარდიელების მიერ კიევში მომხდარი თვითგასამართლება, რომელმაც შეაძრწუნა მთელი მცხოვრებნი, აშკარათ განახორციელა მურავიოვის სიტყვები. ეს ფაქტები საგულისხმოა, მაგრამ უფრო მეტათ განსაცვიფრებელია ის, როცა მათი დაფასება გვესმის კრილენკოს ბაგეთაგან.

როცა შნეურის საქმე ირჩეოდა კრილენკომ, როგორც მოწმემ შემდეგი სთქვა: „შნეური და მურავიოვი ერთი და იგივე კატეგორიის [illegible] თავისუფლებულიყავი შნეურის დაჟინებით თხოვნისგან მე მას მივეცი პოლკოვნიკობა, რომ განთავისუფლებულიყავი მურავიოვისაგან ის გავგზავნე მთავარ სარდლათ შინაურ ფრონტზე". სჩანს, რომ რევოლიუციონურ ჯარის და რევოლიუციონურ შეგნების გავრცელების საქმის მეთაურებათ დანიშნეს ისეთი ხალხი, რომლებისთვის არსად ადგილი არ ჰქონდათ.

მცხოვრებთა ფართე წრემ და მუშებმა დიდი ხანია თავი დაანებეს იმზე თავის ტეხას თუ ვინ არიან წითელ გვარდიელები. ტრამვაიაში, ვაგონებში და სოფლებში აშკარა ხდება მათი ვინაობა—ეს „დაქირავებული კაცი" არის. თითქმის იმ ძველი დროის გოროდოვოებს ისე სიმძულვარით არ უყურებდენ, როგორც ახალ მთავრობის „გოროდოვოებს". მცხოვრებნი ნიშს უგებენ, მაგრამ რა ქნან იმათ, რომლებიც ხედვენ, რომ ეს წითელგვარდიელები შუშხუნა ფრაზებით თავგზა აბნეული პროლეტარები არიან და მათ ძარცვა გლეჯას და ხოცვა ჟლეტას ასწავლიან.

დემოკრატიული ჯარი, არჩევნების წესი... ამ სიტყვებიდან მხოლოდ მარტოოდენ ერთი მოგონება დარჩა. სახალხო კომისარების მიერ შემუშავებულ პროექტის თანახმათ წითელ გვარდიელების უფროსებს კი არ ირჩევენ, არამედ ნიშნავენ იმ პირებისგან, რომლებმაც გაათავეს ყოფილი პრაპორშჩიკების შკოლა. ამ შკოლას გარდა იქნება კიდევ სამხედრო მეცნიერების უმაღლესი კურსები. (სამხედრო აკადემიის მაგვარი). ამგვარათ ხდება ყოველ დღე ჩვენი მილიტარიზაცია. სამხედრო მანქანა თანდათან გვითრევს, ის მანქანა, რომელიც შექმნეს იმ ხალხმა, რომლებიც ფიცავდენ მოესპოთ ომი. დაქირავებული ჯარი, დაქირავებული ფლოტი, უპასუხისმგებლო ბელადები, როგორც მურავიოვი და სხვა—აი ის, რაც გამოსჭვივის რუსეთის ბნელ ქაოსიდან, აი რა მოგვიმზადეს სახალხო კომისარებმა.

ზედა პირზე—მღელვარე სიტყვების ქარ-ბუქი, გულში კი საშინელი შური და სიმძულვარე ყველა იმათ მიმართ, რომლებიც ცოტაოდნათ ცხოვრობენ,—აი ის ფსიხიკური მდგომარეობა ველიკოროსიის, რომელსაც ის დღეს განიცდის.

საით მივდივართ? უქმელია სადღაც ახალ გზა ჯვარედინისკენ, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს სახალხო კომისარების გეგმას და განზრახვებთან. მე არ ვიცი რა ვუწოდო ამ ჩვენ ახალ განვითარების ახალ საფეხურს. ვიცი მხოლოდ, რომ „პატარა ნაპოლეონის რეჟიმიც კი" მისთვის საპატიო სახელწოდება იქნებოდა.

სტ. ვოლსკი.

*) ეს წერილი დაბეჭდილია „ბორბა"-ში და ეკუთვნის გაზ. „ნოვაია ჟიზნ"-ის თანამშრომელს სტანისლავ ვოლსკის, რომელიც ამ დღეებში ჩამოვიდა პეტროგრადიდან. სტ. ვოლსკის განზრახვა აქვს რამდენიმე ხნით დარჩეს თფილისში. მან აღუთქვა ახლო თანამშრომლობა გაზ. „ბორბას".

## ევგენი მიხ. ასრიბეკოვი

15 თებერვალს ალექსანდროპოლში შემთხვევით მოჰკლეს რ. ს.-დ. მ. პ. (მენშევიკების) კომიტეტის თავმჯდომარე ევგენი მიხეილის ძე ასრიბეკოვი.

საშუალო სასწავლებლის დასრულების შემდეგ ევ. ასრიბეკოვი შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტში. იგი ახალგაზრდობიდანვე ჩაება მუშათა მოძრაობაში, მოსკოვში ახლო მონაწილეობას იღებდა ს.-დ. ორგანიზაციის მუშაობაში და თანამშრომლობდა მუშათა გაზეთ „რაბოჩაია პრავდა"-ში. ოჯახურ მდგომარეობამ აიძულა იგი უნივერსიტეტის დასრულებამდე დაბრუნებულიყო სამშობლოში, სადაც იგი კვლავ ენერგიულათ განაგრძობდა ს.-დ. ორგანიზაციებში მუშაობას. იგი დაეწაფა მარქსიზმის საფუძვლიანათ შესწავლას და მის იდეების ხალხში გავრცელებას.

დაიწყო რევოლიუცია თუ არა, ევგ. ასრიბეკოვი თავდავიწყებით გადაეშვა ცხოვრების აბობოქრებულ ტალღებში. მუშებმა იცნეს მასში დაუღალავი, გულწრფელი მუშაკი და ხელმძღვანელის როლი დააკისრეს მას. იგი არჩიეს ადგილობრივ ს. დ. ორგანიზაციის კომიტეტის თავმჯდომარეთ, მასვე ჩააბარეს მუშათა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარის პოსტი. ევგ. ასრიბეკოვი ყოველთვის პირნათლათ ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას. მის მეცადინეობასაც უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ ალექსანდროპოლის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო ვერ ჩაიგდეს ხელში ბოლშევიკებმა და დღემდის აქ ანარქიას ადგილი არა აქვს. პრაქტიკულ მუშაობამ მას საშუალება არ მისცა დაესრულებია თავისი ახალი შრომა „მარქსიზმის ფილოსოფია", რასაც განსვენებული ხშირათ აღნიშნავდა ხოლმე.

ევგენი ასრიბეკოვის სახით მუშათა კლასმა დაჰკარგა მისი ინტერესების ერთი საუკეთესო დამცველთაგანი. კერძოთ ალექსანდროპოლის ს.-დ. ორგანიზაციას მოაკლდა ენერგიული მუშაკი და გულწრფელი ჭირისუფალი.

კან—კანიძე.

## ზავის გარშემო

1 თებერვალს მოხდა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის საგანგებო სხდომა. [illegible] მოლაპარაკების შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ლ. ტროცკიმ. მოხსენების დასაწყისში ტროცკი დაწვრილებით შეჩერდა საკითხზე, იქნებოდა თუ არა უკეთეს პირობებში რუსეთი, რომ საზავო მოლაპარაკებაში იგი გამოსულიყო არა განცალკევებული, არამედ მოკავშირეებთან ერთადო. იგი უარყოფით უპასუხებს ამ კითხვაზე, სულ ერთია, ომის ხარჯები უნდა აენაზღაურებია რუსეთს, როგორც ომით ყველაზე უფრო დასუსტებულ ქვეყანასო. შემდეგ ტროცკი ეხება იმ გავლენას, რომელიც გერმანიის მუშათა გაფიცვამ იქონია გერმანიის დელეგაციის მოქმედებაზე ბრესტში და აღნიშნავს, რომ მუშათა მოძრაობა ვერ გაიზარდა იმდენათ, რომ შეეჩერებია გერმანიის სამხედრო პარტიაო. როგორც კი გაფიცვა დასრულდა, გერმანიის დელეგაცია დაუბრუნდა ამაყ ტონს და დასტოვა ძალაში ყველა თავისი მოთხოვნილებანი. დათმობას გერმანელები დაადგენ მხოლოდ ეკონომიურ სფეროში და ისიც ავსტრიელების ძალდატანებით.

შემდეგ მომხსენებელი ეხება კიევის რადისა და მის დელეგაციის შესახებ საკითხს. აქ მან აღნიშნა, სხვათა შორის, რომ გერმანელებთან უკრაინელების მოლაპარაკება სწარმოებდა რუსეთის დელეგაციის ზურგს უკანო. როცა რუსი დელეგატები მესამე ყრილობიდან დაბრუნდენ ბრესტში, უკრაინელებსა და გერმანელებს შორის მოლაპარაკება უკვე გაჩაღებული იყო და გერმანიის პრესა სწერდა, რომ იგი (მოლაპარაკება) უკვე უახლოვდება დასასრულსო. რუსეთის დელეგაციასთან კი გერმანელები განზრახ არ აახლებდენ მოლაპარაკებას, უცდიდენ უკრაინელებთან საკითხის საბოლოოთ გადაჭრას და გერმანიაში გაფიცვების დასრულებას. მეორეს მხრით რამდენათაც მწვავდებოდა დამოკიდებულება საბჭოთა მთავრობასა და რადას შორის, იმდენათ რადა მზათ იყო ყოველგვარ პირობებში შეეკრა ზავი გერმანიასთან. 26 იანვარს რუსეთის დელეგაციამ გაიგო, რომ უკრაინას მოეწერა ხელი საზავო პირობებზე. გერმანელებმა დააჩქარეს ეს, ვინაიდან მათთვის აშკარა იყო, რომ რადა უმწეო მდგომარეობას განიცდიდა და მათ უნდოდათ მიზეზი, რომ ჩარეოდენ ფედერატიულ რესპუბლიკის შინაურ საქმეებში. რუსეთის დელეგაციამ სხვათა შორის წინადადება მისცა ჩერნინს არა ოფიციალურათ გაეგზავნათ უკრაინაში საგანგებო პირი, რომ გამოერკვიათ არსებობს თუ არა უკრაინაში რადის ძალა-უფლება, ამის გამორკვევამდე კი ხელშეკრულებაზე ხელი არ უნდა მოეწერათ. ჩერნინი მოელაპარაკა გოფმანს და ეს წინადადებაც უარყოფილ იქნა.

შემდეგ ტროცკი აღნიშნავს, რომ თუმცა საბუთი არა გვაქვს, რომ გერმანელები შემოტევას დაიწყებენ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში შესაძლებელია ეს მოხდეს. ერთად ერთი ხსნა ის არის, რომ რუსეთის რევოლიუციის ბედი დასავლეთის მშრომელ ხალხის ბედს გადაებათ. ამ მიზანს ჩვენ მივაღწიეთ ბრესტში მოლაპარაკებით. რუსეთის ბედის შესახებ პასუხი უნდა აგოს გერმანიის მშრომელმა მასამ, თუ ჩვენ წინააღმდეგ წავიდა, ეს იქნება თავის თავის წინააღმდეგ წასვლა. ჩვენ გვწამს, რომ ჩვენ ხმას გაიგონებენ და ნეიტრალურ ქვეყნების მშრომელი მასა ნებას არ მისცემს გერმანიას ჩვენზე წამოვიდეს. და თუ ეს ასე მოხდა—ეს იქნება მორალური გამარჯვება. ბრესტში მოლაპარაკებით ჩვენ გავაკეთეთ რაც შევიძლო, რომ მოგვეახლოვებია განმათავისუფლებელი სოციალური რევოლიუცია.

ტროცკის მოხსენების შემდეგ სიტყვას ამბობს ს.-რევოლიუციონერი პრუშიანსკი. ის აღნიშნავს, რომ ბრესტში მოლაპარაკება დამარცხებით გათავდა, რადგან ამით ფრონტი დაცარიელდა და გერმანელებს თავისუფლათ შეუძლიათ ჯარების დაძვრა ჩვენსკენ. მე არ მჯერა, რომ გერმანიამ ანგარიში გაუწიოს რუსეთის ფორმულის მორალურ მნიშვნელობას. ორატორი აღნიშნავს, რომ საბჭოს მთავრობის პოლიტიკის კურსი სოციალურ რევოლიუციისკენ დამარცხდა. საჭიროა ძველ გზაზე დადგომა, საჭიროა შინაური მთლიანი ფრონტის აღდგენა, შინაურ ზავის ჩამოგდება და დამფუძნებელ კრების მოწვევა.

ორატორს ხშირათ აწყვეტინებენ ლაპარაკს და უკანასკნელ სიტყვების თქმის დროს უსტვენენ და უყვირიან „ძირსო".

შემდეგ ლაპარაკობს მარტოვი, ის ამბობს, რომ ბრესტში სამი თვის განმავლობაში მოლაპარაკების დროს ავსტრო გერმანიის იმპერიალისტები ნაკლებათ დარწმუნებული იყვენ ვიდრე ამ ოთხი დღის წინათ მოლაპარაკების შეწყვეტის შემდეგ.

წინათ ნემცები ფრთხილათ იქცეოდენ, უნდოდათ გამოენახათ შეთანხმების გზა. ეხლა კი იმათ უფრო მაგრათ იგრძნეს თავი, მიუხედავათ ცენტრალურ სახელმწიფოებში დაწყებულ მოძრაობისა.

ამ ფაქტს ყურადღება უნდა მიექცეს, როდესაც იმაზე ვფიქრობთ რა იქნება შემდეგ. ტროცკი ამბობს, რომ მოლაპარაკების შედეგი დამოკიდებულია ძალთა ობიექტიურ [illegible] ამა თუ იმ შეცთომაზე. ასე ამბობენ ყოველი მთავრობის წარმომადგენელნი და ამავე დროს თავიანთ მოღვაწეობასაც არ ივიწყებენ.

რასაკვირველია ობიექტიური მიზეზები არის, მაგრამ ყველაფერი ეს არ არის.

გერმანიის იმპერიალისტების ერთი მიზეზია რადას მოქმედება.

რადამ მუხანათური სეპარატიული ზავი შეჰკრა და ეჭვს გარეშეა გერმანელები იშოვნიან ჯარს, რომელიც წავა გერმანიაზე გაყიდულ პურისთვის. ამიტომ ვერ ვიზიარებთ ტროცკის ოპტიმიზმს გერმანელთა შემოტევის შესახებ.

რაც რუსეთის დელეგაციამ სთქვა 10 თებერვალს საკმარისი არ არის. აუცილებლათ საჭიროა გერმანელთა შემოტევაზე წინააღმდეგობის გაწევა.

თუ 3 თვის მოლაპარაკების შემდეგ რუსეთი დასუსტებულათ გვეჩვენება, ეს იმიტომ, რომ გერმანიაში კარგათ ხედავენ, რა შედეგი მოჰყვა ოქტომბრის გადატრიალებას, იქ კარგათ იციან, რა არევ-დარევა და როგორი სამოქალაქო ომი არის ჩვენში გაჩაღებული, რისთვისაც ფიქტიურ რადას უთანხმდებიან.

მოსალოდნელია პეტროგრადისა და კიევისკენ გერმანელები წამოვიდენ.

რომ ეს თავიდან ავიცდინოთ საჭიროა ძირიანათ შეიცვალოს საბჭოს მთავრობის პოლიტიკა, რომ შესაძლებელი იქნეს მოვაწყოთ წინააღმდეგობის გაწევის საქმე.

აი ის დასკვნა, რომელიც შეიძლება ბრესტში მოლაპარაკებიდან გამოვიყვანოთ.

უნდა ვიფიქროთ იმაზე, როგორ ვიხსნათ ველიკოროსია შიმშილისაგან, რადგან გერმანელებმა განიზრახეს უკრაინის პურის წაღება, და გადავარჩინოთ პეტროგრადი ოკუპაციას.

მარტოვის შემდეგ ლაპარაკობს ბლიუმანი (ს.-დ. ინტერნ.) ის ამბობს, რომ რადის მოქმედება მოღალატურია და სეპარატიულ ზავზე ხელის მოწერაზე უარის თქმა, რევოლიუციონური მოვალეობა იყო.

„ნ. ჟ."

## მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა მესამე ყრილობა

15 იანვრის სხდომაზე გაირჩა ნაციონალური საკითხი. მომხსენებლათ სახალხო კომისარი სტალინი გამოვიდა.

სახალხო კომისართა საბჭო ნაციონალურ საკითხში, სტალინის სიტყვებით, გაბედულ რევოლიუციონურ ხაზს ადგია; მაგრამ, ამის მიუხედავათ რუსეთის თვითგამორკვევის ნიადაგზე ბევრი ნაციონალური ხასიათის კონფლიქტებს ჰქონდა ადგილი. ეს კონფლიქტები მთავრობის შესახებ საკითხით აიხსნება. კომისართა საბჭო მხოლოდ კლასიურ მთავრობას სცნობს; რუსეთის მცხოვრებთა ზოგიერთი ჯგუფები კი მთავრობას ნაციონალურ ნიშნებით სახავენ. ამ მხრივ ყველაზე უფრო დამახასიათებელია უკრაინის რადის მოქმედება.

სტალინის შემდეგ ებრაელ სოციალისტების და ს.-რევოლიუციონერების სახელით გამოდის ლოვიჩ-დავიდოვიჩი. იგი აკრიტიკებს სახალხო კომისართა ნაციონალურ პოლიტიკას და აღნიშნავს, რომ კომისარები ერთა თვითგამორკვევას მხოლოდ თეორიაში სცნობენ; პრაქტიკაში კი საბჭოთა მთავრობა ცენტრალისტურ პოლიტიკას აწარმოებს. ბოლოს ლოვიჩ-დავიდოვიჩი აცხადებს, რომ კომისართა საბჭოს პოლიტიკა სულაც არ უწევს ანგარიშს ნაციონალურ უმცირესობათა უფლებებს. (ქანდარიდან ისმის ხმები: „რომელ პარტიის წარმომადგენელია"? ორატორი უპასუხებს: „გაერთიანებულ სოციალისტურ ებრაელთა პარ-

ტიის". საპასუხოთ იმის სტვენა და დაცინვა: „ოჰო!")

ანარქისტების სახელით გამოდის გე. ის ამბობს, რომ ამ ყრილობაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება ნაციონალურ პრობლემაზე, ვინაიდან, მისი აზრით, აქ სწყდება საკითხები სოციალიზმის და არა ნაციონალურ თვითგამორკვევის შესახებ. შემდეგ გე ლაპარაკობს, რომ გამოცემული დეკრეტები მხოლოდ ზორკავენ პროლეტარიატის შემოქმედებას და ამიტომ ისინი მავნებელია (ორატორის ეს სიტყვები მარცხენა და მარჯვენა სექტორებ ს ტაშმა დაფარა).

თვითმართველობის კომისარმა ტრუტოვსკიმ განაცხადა, რომ ბურჟუაზიული ელემენტები მოკლებული იქნებიან საარჩევნო უფლებას ისე, როგორც დამნაშავენი არიან ასეთს მოკლებულნი ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ სახელმწიფოებში, ვინაიდან ტყულათ ყოფნა უუდიდესი დანაშაულობაა.

მენშევიკთა ფრაქციის სახელით გამოდის ლ. მარტოვი. ერთ ორატორთაგანმა განაცხადა, ამბობს მარტოვი, რომ რუსეთი წარმოადგენს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს. ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთის რესპუბლიკის გარეშე რჩებიან: ყრიმი, ბესარაბია, უკრაინა, სადაც მმართველობა ... თავრობის პრინციპის თანახმათ. კავკასიაში, სადაც ძალა-უფლება საბჭოების ხელშია და სადაც ბალშევიკები უმცირესობას შეადგენენ, უკანასკნელებმა მაინც იერიში მიიტანეს საბჭოებზე; ამას იქ იმით ამართლებენ, რომ საბჭოები ბურჟუაზიული და კონტრ-რევოლიუციონურიაო. ამ რიგათ ლოზუნგი: „მთელი ძალა-უფლება საბჭოებს!" იცვლება ლოზუნგით: „მთელი ძალა-უფლება ბალშევიკებს!"

კომისარების საბჭო ორპიროვან პოლიტიკას აწარმოებს: რუსეთის გულში ის ითხოვს მთელი ძალა-უფლების საბჭოებისთვის გადაცემას; ტროცკი კი ბრესტ-ლიტოვსკში სომხებისთვის, პოლონელებისთვის და ლატიშებისთვის მოითხოვს რეფერენდუმს, ე. ი. საყოველთაო საარჩევნო უფლებას.

და მართლაც, რა არის საბჭოები? როგორც რევოლიუციონური ორგანოები, ისინი აუცილებელ საჭიროებას შეადგენენ, მაგრამ როგორც მართვა-გამგეობის ორგანოები, ისინი სტოლიპინის სათათბიროზედაც დაბლა სდგანან, ვინაიდან საბჭოებში არჩევნები ორ-სამ სართულიანია. მათ ბიუჯეტის უფლებაც კი არა აქვთ, მაშინ, როდესაც სტოლიპინის სათათბიროს ეს უფლება ჰქონდა. სახალხო კომისართა საბჭო ფაქტიურათ უპასუხისმგებლოა და საბჭოთა ყრილობაზე სულაც არ არის დამოკიდებული (ამხ. მარტოვის მკაცრი გამოლაშქრება ისარივით მოხვდა ბალშევიკებს და მათში დიდი აღშფოთება გამოიწვია. მთელი სიტყვის განმავლობაში ბალშევიკები ხმაურობდენ, უსტვენდენ და არ აძლევდენ ორატორს ლაპარაკის საშუალებას).

კრების ცოტა ხნით შეწყვეტის შემდეგ სიტყვა ეძლევა მომხსენებელ სტალინს.

ორატორი ამბობს, რომ მას სურს განმარტოს გაუგებრობათა მთელი რიგი. სტალინის აზრით, მარტოვი სცდება, როდესაც ფიქრობს, რომ რადგანაც კიევის რადას სათავეში სოციალისტები უდგას, იგი არ არის ბურჟუაზიული მთავრობაო. რადა მისი საქმეებით უნდა განვსაჯოთ, ამბობს ორატორი. ფაქტიურათ კი იგი კალედინთან ერთათ მოქმედებს.

ჩვენ ბევრჯერ დავაყენეთ საკითხი: კალედინის თუ ჩვენ მხარეზეა რადა? მაგრამ რადა ყოველთვის გაურბოდა ამ კითხვას. მარტოვი ლაპარაკობს, რომ კავკასიის კომისარიატი არ არის ბურჟუაზიულიო. მაგრამ ეს მთავრობა საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგია. ახლა კავკასიაში შესდგა კავკასიის საბჭო, სადაც უმრავლესობას ბალშევიკები და მემარცხენე ს.-რევოლიუციონერები შეადგენენ.

სიტყვის ბოლოს სტალინი აქვეყნებს რეზოლიუციას რუსეთის რესპუბლიკის ფედერატიულ დაწესებულებათა შესახებ.

1) რუსეთის საბჭოთა ფედერატიული რესპუბლიკა არსდება ხალხთა ნებაყოფლობით კავშირის ნიადაგზე, როგორც საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაცია.

2) ფედერაციის მართვა-გამგეობის უმაღლეს ორგანოთ ითვლება სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობა, რომელიც ყოველ 3 თვეში ერთხელ იკრიბება.

3) სრულიად რუსეთის საბჭოთა ყრილობა ირჩევს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც ყრილობიდან ყრილობამდე დროს განმავლობაში მუშაობს.

4) ფედერაციის მთავრობას—კომისართა საბჭოს ირჩევს და სცვლის სავსებით, ან ნაწილობრივ საბჭოთა ყრილობა, ან ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

5) საბჭოთა რესპუბლიკის მონაწილეობა საბჭოთა რესპუბლიკების ფედერატიულ მთავრობაში, რომლებიც განირჩევიან ერთი-მეორისაგან ადათით და ნაციონალურ შემადგენლობით ისე, როგორც საოლქო და ფედერალურ დაწესებულებათა მოქმედების სფერო, ისაზღვრება სრულიათ. რუსეთის და კერძო რესპუბლიკათა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტების შეთანხმებით საოლქო საბჭოთა რესპუბლიკების შექმნის შემდეგ.

მენშევიკთა ფრაქციის სახელით ნაციონ. საკითხის შესახებ დეკლარაციას აქვეყნებს ამხ. დობრანიცკი.

ტრიბუნიდან მიმავალ დობრანიცკის კითხვას აძლევენ, რამდენი მოგცა მილიუკოვმაო.

ბელორუსთა ფრაქციის წარმომადგენელი აქვეყნებს რეზოლიუციას, რომელშიაც აღნიშნულია, რომ საბჭოთა მთავრობა ფეხ-ქვეშ სთელავს ნაციონალურ თვითგამორკვევის უფლებას.

ანარქისტების მხრივ რეზოლიუციას გე კითხულობს, რომელშიაც სხვათა შორის ნათქვამია, რომ ერთა თვითგამორკვევა—ეს ბურჟუაზიული ლოზუნგიაო.

ხმის დიდი უმეტესობით მიღებულ იქნა მცირე შესწორებებით სტალინის მიერ წარმოდგენილი, რეზოლიუცია.

შემდეგ ყრილობა იღებს რეზოლიუციას, რომლითაც იწონებს სახალხო კომისარების ნაციონალურ პოლიტიკას. დამტკიცებულ იქნა აგრეთვე დეკრეტი ფინლიანდიისა და სომხეთის შესახებ.

## სოც.-დემ. პარტიაში

ვაკის (მუხიანის) რაიონი. 1907 წ. ზაფხულში აქ დაარსდა ს. დ. ჯგუფი. რევოლიუციის პირველ დღეებშივე დასახელებული ჯგუფის მეცადინეობით მოეწყო პარტიული ორგანიზაციები. საყულიაში, ბაშს, ოფშვითს, მუხიანს, ეწერბაშს და ფარცხანაყანევში. ამათ წარმომადგენელთაგან შედგა რაიონული კოლექტივი, რომელიც რამდენიმე თვის განმავლობაში უწევდა ორგანიზაციებს ხელმძღვანელობას მუხიანიდან. ივლისში მომუშავე პირების ჩამოცილების შემდეგ რაიონული კოლექტივი გაუქმდა და მარტო სოფ. ბაშში დარჩა ორგანიზაცია, რომლის კოლექტივი ენერგიულათ მუშაობს. სოფლები გაყოფილია სამ რაიონათ: საყულია-ოფშქვითის, ბაშის და ფარცხანაყანევის. გადაწყვეტილია ამ მოკლე ხანში სამივე რაიონის პარტიის წევრთა საერთო კრების მოწვევა ორგანიზაციების განახლების და სხვა საჭირო კითხვების გასარკვევათ.

ს. სხივიშვილი.

## მუშათა შორის

თფილისი. ჯერ კიდევ 6 თვის უკან დაიხურა ტაიროვის, ადელხანოვის და ტოლეს აქციონერულ საზოგადოების ზეთის დამხადებელ ქარხნის საპნის საკეთებელი განყოფილება. მიზეზი ქონის და სხვა საგნების უქონლობა იყო, რაც საპნის საკეთებლათ არის საჭირო. ახლა ასეთივე ბედი მოელის ზეთის სახდელ განყოფილებას, რომელიც ყველაზე უფრო კარგათ იყო მოწყობილი და ამის მეოხებით დღემდის კიდევ განაგრძობდა წარმოებას.

ზეთის სახდელი ქარხანა ამზადებს დიდძალ ბამბის ზეთს, რომელიც ღარიბ ხალხისათვის კარაქის და სხვა მსუქან საქონლის დანიშნულებას ასრულებს, რაც ბაზარზე არ მოიპოვება და ან მიუწდომელია ღარიბ მცხოვრებთათვის. წარმოებიდან დარჩენილი წარმოებისთვის უსარგებლო ნაწილები (ქერქი, ქატო და სხვა) მიდის მუშა საქონლის სასაზრდოოთ.

წარმოების შეწყვეტის მიზეზი ბაქოს და განჯის გუბერნიებიდან ბამბის მარცვლის მოუტანლობაა, სადაც ასეთი ბლომათ მოიპოვება; მიზეზი აგრეთვე იმაში მდგომარეობს, რომ შეუძლებელი გახდა რუსეთიდან საჭირო მარილის (каустическая сода) მოტანა. მართალია, ბამბის მარცვალი ჩვენშივეა, მაგრამ ტრანსპორტის საქმის არევ-დარევა და ჩვენში გამეფებული ანარქია საშუალებას უსპობს ქარხანას მოიტანოს ეს საქონელი.

წარმოების შეწყვეტა საფრთხეს უმზადებს არა მარტო იმ 120 მუშას, რომლებიც ქარხანაში მუშაობენ, არამედ ქალაქის ყველა ხელმოკლე მცხოვრებთ. ამას ნათლათ მიხვდება ადამიანი, თუ ყურადღებას მიაქცევს იმ უშველებელ კუდებს, სადაც სდგას მოქალაქე და ელოდება 2 გირვანქა ბამბის ზეთის მიღებას. ესევე ითქმის მეწველ და მუშა საქონელზე. თივის და სხვა საგნების საკმაო რაოდენობის უქონლობა და აგრეთვე მისი სიძვირე საქონლის მომშენებლებს იძულებულს ხდის იყიდონ წარმოებიდან დარჩენილი ნაწილები. ყოველ დღიურათ ქარხანიდან იყიდება 600 ფუთი ქერქი, 3 მან. ფუთი (თივა 7 მან. ღირს) და 200 ფუთი ქატო, ფუთი 1 მ. 20 კ. ხშირია ისეთი შემთხვევა, როდესაც თფილისის ახლო მცხოვრებნი ამჯობინებენ თავიანთი თივის გაყიდვას და ყიდულობენ ქატოს. თუ ქატო არ იქნა, იმ შემთხვევაში მცხოვრებნი იძულებული იქნებიან საქონლის ნაწილი დასაკლავათ გაყიდონ და ამით მცხოვრებით საშუალება მოესპოს საჭირო რძე იშოვონ. საზრდოს უქონლობა დიდ გავლენას მოახდენს აგრეთვე სატრანსპორტო საქმეზე, რომელიც ისედაც საკმაოთ არეულ-დარეულია.

აღნიშნულ ქარხნის გარდა თფილისში არის მეორე ზეთის სახდელი ქარხანა—ძმ. კარლინსკების. მაგრამ მიუხედავათ იმისა, რომ უკანასკნელს საკმაო ნედლი მასალა აქვს, იგი ვერ აკმაყოფილებს მცხოვრებთა მოთხოვნილებას.

მაშასადამე, მიუხედავათ იმისა, რომ ბაქოს და განჯის გუბერნიებში ნედლი მასალა ბლომათაა, შექმნილ ანარქიის გამო, მისი გადმოტანა ყოვლათ შეუძლებელია. საჭიროა მაგარ რევოლიუციონურ მთავრობის შექმნა, რომელიც შესძლებს გამეფებულ ანარქიას ბოლო მოუღოს და სოფლის და ქალაქის მეურნეობა მკვიდრ ნიადაგზე დააყენოს.

თფილისის გუბერნიის კომისარი გაეცნო ქარხნის ასეთ უნუგეშო მდგომარეობას და განცხადება შეიტანა შინაგან საქმეთა კომისართან არსებულ ეკონომიურ საბჭოში, რათა მან მიიღოს ეფექტიური ზომები წარმოების შეჩერების თავიდან ასაცილებლათ.

## ბალშევიკების თარეში დუშეთის მაზრაში

ქართლის სოფლებში ფეხს იკიდებს არევ-დარევა, ბალშევიკების ლოზუნგებით გამოწვეული. ჩვენს პრესაში ამ უკანასკნელ დროს ხშირად წაიკითხავს კაცი: ამა და ამ ალაგას გაძარცვეს, ამა და ამ ალაგას მოკლეს, დაარბიესო და სხ. თითქმის დუშეთის მაზრის ზოგიერთ სოფლებში შეიარაღებულ ჯარისკაცების მეოხებით, ბალშევიკები გაფაციცებით ყრილობებს ახდენენ. მიზნათ აქვთ ომის გამო ისედაც დაქანცულ სახლში დაბრუნებულ ჯარისკაცების საშუალებით გლეხკაცობაში და სოფელში ანარქია შეიტანონ.

მაგრამ მოწინავე გლეხობა ბალშევიკების დაპირებებს ეჭვის თვალით უყურებს. ხშირათ გაიგონებთ გლეხებისაგან შემდეგ სიტყვებს: „არა, ძმაო, ვისთანაც ჭირში და ლხინში ვყოფილვართ, იმათთან მოვკვდებით"-ო. მიუხედავათ ყ: ველივე ამისა, ჩვენი ახლად მოვლინებული ბალშევიკები სოფლათ არ ისვენებენ და განაგრძობენ თავიანთ საქმიანობას. წარსულ კვირას სოფ. მუხრანში ბალშევიკებმა გამართეს ჯარისკაცების დახმარებით დიდი მიტინგი, ამ მიტინგს დაესწრო მენშევიკებიც. დიდი აურზაური გამოიწვია მიტინგის თავმჯდომარის არჩევამ, დიდი უმრავლესობა გლეხობისა, გარდა ბალშევიკ ჯარისკაცებისა, ამხ. მიშა კლიმიაშვილის არჩევას მოითხოვდა, მაგრამ ბალშევიკები დაჟინებით მოითხოვდენ თავის კაცის არჩევას. ორჯერ უყარეს კენჭი, და ამხ. მიშა კლიმიაშვილმა ორივეჯერ მიიღო ხმის დიდი უმრავლესობა. ჯარისკაცები ისევ შეეცადენ თავისი გაეტანათ. მაშინ ამხ. მ. კლიმიაშვილმა განაცხადა: რადგანაც ისეთი პირობებია, რომ ჩვენ მენშევიკებს, არ შეგვიძლია მივიღოთ ამ მიტინგზე მონაწილეობა, იძულებული ვართ მიტინგი დავსტოვოთო.

ამ სიტყვების შემდეგ დიდი უმრავლესობა გაშორდა მიტინგს, ბალშევიკებმა შეატყვეს, რომ საქმე ცუდათ იყო და ნესტორ ცერცვაძის პირით განაცხადეს, კლიმიაშვილი ორჯერ იქნა არჩეული და სამართლიანობა უნდა დავიცვათ, იგი უნდა ვაღიაროთ თავმჯდომარეთო და სთხოვეს კლიმიაშვილს დაეჭირა თავმჯდომარის ადგილი.

ამხ. მ. კლიმიაშვილი დასთანხმდა, მაგრამ რადგანაც ჩვენი თანამოაზრეები უკვე წასულიყვნენ, ბალშევიკ ჯარისკაცებმა თავის რეზოლიუციები გაიყვანეს.

ბალშევიკებმა თავის მუშაობა სხვა სოფლებშიაც გაავრცელეს. 14 თებერვალს სოფ. ბაზალეთში გამართეს მიტინგი, აქაც ჯარისკაცების დახმარებით ძალით მოუყარეს ხალხს თავი. მიტინგს დავესწარით თფილისიდან ჩამოსულები ისიდორე რამიშვილი, რაფიელ ჩიხლაძე, პეტრე ვიგორბინი და მე. მივუახლოვდით მიტინგს თუ არა, საშინელი აურზაური ასტყდა, შეშინებული ხალხი ერთი მეორეს ეჯახებოდა. 400—500 კაცი კი ჩვენ გარს შემოგვერტყა, ზოგი იქვე ხევში ჩაესაფრა და ამოგვიღო მიზანში. ის იყო თოფები უნდა გავარდნილიყო, რომ მე დავუძახე გლეხებს, ჩვენა ვართ, რად გვხოცავთ-თქო, როგორც იყო ჩვენმა ამხანაგმა გლეხებმა (სანდრო უნდილაშვილმა) და სხვ. დიდის წვალებითა და ვაი-ვაგლახით „სანგრებიდან" წამოშალეს ბრძოლის ჟინით გატაცებული ბალშევიკები და სიკვდილს გადაგვარჩინეს. მიუხედავათ ამ საშინელი განცდისა ძველმა რევოლიუციონერმა ისიდორე რამიშვილმა შეარღვია ხალხის წრე და დადგა ტრიბუნის ახლოს.

უცქერდი ჭაღარა მებრძოლს და ვფიქრობდი, ნუ თუ ამ ხუთი წუთის უკან ეს მოხუცებული ჩვენთან ერთად უნდა მოეკლათ? მაგრამ სჩანს ისიდორეს არა ერთხელ გამოუვლია ასეთი წუთი. იგი სრულიათ აუღელვებლათ ლაპარაკობდა, თუმცა ბალშევიკები ხშირათ უშლიდენ ხელს. მან გასაგები ენით აუხსნა გლეხებს დღევანდელი ამბების მნიშვნელობა. ბალშევიკებს მიზნათ ჰქონდათ ჩვენი ამხანაგების გაშავება, იმ ამხანაგების, რომლებსაც დიდი გავლენა აქვთ დუშეთის მაზრის მშრომელ გლეხებში. პირველი იერიში ამხ. მიშა კლიმიაშვილზე მიიტანეს სოფ მუხრანში, ასეთივე იერიში მიიტანეს თავიანთში მცხოვრებ გლეხზე, ტატე მუშიაშვილზე, რომელიც უბნის კომისარია და დიდი გავლენით სარგებლობს გლეხებში. ხალხის მტრებს უნდოდათ ხალხისავე დახმარებით, ჩირქი მოეცხოთ ხალხის მეგობრებისათვის, მაგრამ ბოროტმა სურვილებმა ვერ გაიმარჯვა და როგორც ტატე მუშიაშვილს, ისე მიშა კლიმიაშვილს ხალხმა სრული ნდობა გამოუცხადა.

ერთი სიტყვით, ქალაქებში მუშათა შორის დამარცხებული ბალშევიკები ცდილობენ ახლა გლეხები გაიხადონ ბრმა იარაღათ, სოფლიდან სოფელში დადიან და ყველას სამოთხეს პირდებიან, ოღონდ კი წითელ რაზმში ჩაეწერონ (აქ დიდის გაფაციცებით ადგენენ წითელ რაზმს), მაგრამ გლეხობა დღეს საკმაოთ გამორკვეულია მომხდარ ამბებში. იგი შესაფერ პასუხს გასცემს ბალშევიკებს, არ აყვება მათ ავანტიურას და ამით მხარში ამოუდგება თავის მოძმე ქალაქის მუშას. სოფელი არ ჩამორჩება ქალაქს, სადაც ბალშევიკებმა სასტიკი დამარცხება განიცადეს.

P. S. 17 თებერვალს დუშეთის სოც.-დემოკრატ. მუშ. პარტიის კომიტეტმა ერთხმათ დაადგინა ყოველივე ღონით შეებრძოლოს მაზრაში დაწყებულ ანარქიას. აგრეთვე კომიტეტი სთხოვს ერთხმათ თავის თავმჯდომარეს, მ. კლიმიაშვილს, თუ მაზრის კომისრობაზე უარს იტყვის, მაზრაში მაინც დარჩეს, ვინაიდან ხალხში დიდი გავლენით სარგებლობს, და კულტურულ მუშაობაში ჩაებას. მ. კლიმიაშვილი დაპირდა ამხანაგებს შეასრულოს მათი სურვილი.

მიტო ქიტუაშვილი.

## პროვინცია

რაჭა. რაჭის გლეხობა დღეს შიმშილს განიცდის. უღელტეხილისკენ გზები შეკრულია და ქუთაისიდან კი სასურსათო კომიტეტს ჯერ-ჯერობით ვერ მოუწოდებია სიმინდი. გაგზავნილია ფულიც და კაცებიც, მაგრამ არც ფული სჩანს და არც კაცი. ანარქისტ-ბალშევიკები აქაც გაჩნდენ. ისინი არიან ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები. აშინებენ ისედაც დაბეჩავებულ გლეხებს. დაარსეს ჯარისკაცთა კომიტეტები, მაგრამ როცა მობილიზაცია გამოცხადდა, ხმა გაკმინდეს. ამ დღეებში შესდგა ამბროლაურის რაიონში კომიტეტების და კომისრების კრება. გასარჩევი იყო ჯარის მოწოდება და გლეხების საბჭოების დაარსება. მოწოდება უყურადღებოთ დასტოვეს. სადმელის საზოგადოებაში შესდგა ჯარისკაცთა კრება. გადასწყვიტეს ჩამოერთვას ყველა მოვაჭრეს ქონება ანგარიშის მიხედვით და გადაეცეს კოოპერატივს. ეს დადგენილება მყისვე სისრულეში მოიყვანეს, გაიგდეს წინ კომისარი კირილე მაჭარაშვილი და ყველა დუქნები დაახბეჭდვინეს. როცა ჯერი მიდგა ალექსანდრე ჩიკვაიძეზე, ჩიკვაიძემ უარი განაცხადა, მაგრამ კომისარი შეეხვეწა შეესრულებია ჯარისკაცების მოთხოვნა, რომ მისი მაღაზია გადარჩენილიყო დამტვრევას. ჩიკვაიძემ შეუშვა შიგ ჯარისკაცები, მაგრამ ანგარიში არ უჩვენა, ის ასწერეს. აიწერა მაღაზია ფას-დაუდებლათ და დაბეჭდა კომისარმა. ყარაულისთვის არავინ არ ფიქრობდა. მეოთხე დღეს ვიღაცას გაეტეხა მაღაზია. მძარცველი ვერ აღმოაჩინეს. გაუტანიათ ექვსასი თუმნის საქონელი. ჯარისკაცებმა იქონიეს კრებაზე მსჯელობა და დაადგინეს მიეცეს ჯამაგირი კომისარს ოცი თუმანი და მდივანს ხუთმეტი თუმანი. ტყის მცველებს ორს ჯარისკაცს ოცი თუმანი თვეში. აირჩიეს კამისრათ ჯარისკაცი. ხალხი უკმაყოფილოა ჯარისკაცებზე.

რაჭველი.

სოფ. მუხიანი (იმერეთი). ღვინით და არაყით ვაჭრობას აქ საზღვარი არა აქვს, სოფელს კომისრათ ჰყავს ისიდორე ფუთურიძე—ვაჭრების სულის ჩამდგმელი და ძლიერ უწყობს ხელს ამგვარ ვაჭრობას. ის ყოველ ახალ საქმეს ძველ მამასახლისებივით სდევნის, მისი მარჯვენა ხელია სოფლის მწერალ-მასწავლებელი ვასილ ქუთათელაძე, რომელიც მას არაფრით ჩამოუვარდება. სოფლის მუშათა საბჭო არ არსებობს, მაზრის კომისარმა მოსპო. საჭიროა საბჭოს წევრთა და კომისარის ხელ-ახალი არჩევა. რამდენიმე თვეა აქ არსებობს კოოპერატივი, მარა მას იმდენი მტერი გაუჩნდა შიგნით და გარეთ, რომ ადვილი შესაძლებელია, მალე დაიხუროს.

№.

## საარჩევნო ფონდის ანგარიში

(მე-6 რაიონის კოლექტივი)

ჩვენ გვსურდა იმ ამხანაგების სახელის და გვარის გამოცხადება, რომლებმაც გაიღეს თავისი დღიური შემოსავალი საარჩევნო ფონდის გასაძლიერებლათ, მაგრამ ტეხნიკური მოსაზრებით (ბევრ ადგილს ითხოვდა) მოუხერხებელი შეიქნა. ამიტომ მე მხოლოდ ავღნიშნავ, რომელ მცირე კოლექტივიდან, რამდენი შემოვიდა და ვინ მოაგროვა.

მე-4 სამ. უბნ. მცირე კოლექტივიდან:

| | | |
|---|---|---|
| ალიხანოვი ვ. | 337 მ. | |
| პაპიშვილი დ. | 275 „ | |
| თალაკვაძე კ. | 312 „ | 12 კ. |
| ტაინოვი | 122 „ | |
| ზენიაშვილი ის. | 20 „ | |
| სულ | 1066 მ. | 12 კ. |

მე-5 სამ. უბ. მცირე კოლექტივიდან:

| | | |
|---|---|---|
| კოპალეიშვილი ნ. | 141 მ. | 45 კ. |
| ალახვერდოვი გ. | 92 „ | 45 „ |
| კვიციანაძე ვ. | 268 „ | „ |
| პარემუზოვი ზ. | 224 „ | 50 „ |
| შუბლაძე ის. | 353 „ | „ |
| ზაინდუროვი ალ. | 105 „ | „ |
| ათაბეგოვი ვასო | 535 „ | „ |
| ბასილაშვილი გიგო | 51 „ | „ |
| სულ | 1770 მ. | 40 კ. |
| ბიუროში შემოვიდა | 128 „ | 30 კ. |
| სულ | 2964 მ. | 82 კ. |

საარჩევნო კომპანიამ აუცილებელ საჭიროებისათვის დახარჯა 38 მ. დანარჩენი 2926 მ. 82 კ. გადაეცა თფილისის კომიტეტს.

რაიონულ კოლექტივის მდივანი

მ. ნაკაიძე.

ანგარიში სწორია. თფილისის კომიტეტის მდივანი ივანე სინაურიძე.

## მოწოდება

ბაილეთ-ჭანიეთურის მოწინავე პირთა ინიციატორობით ახალი წლიდან გაიხსნა აკაკის სახელობის უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველო, რომელიც უსახსრობის გამო სავსებით ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას. ამიტომ მოუწოდებთ ამ სოფლების მკვიდრთ, რომლებიც სხვაგან იმყოფებიან და აგრეთვე იმათ, ვისაც გული შესტკივა ყოველგვარ კულტურულ დაწესებულებისადმი, გამოიღონ თავიანთი წვლილი და გაზეთის გამოწერით, წიგნების გამოგზავნით თუ ამხანაგ-ნაცნობებში ფულის შეგროვებით ხელი შეუწყონ ამ ახლად დაარსებულ სამკითხველოს აღორძინებას.

ყოველივე შემოწირულება მიიღება შემდეგის მისამართით: ქ. ოზურგეთი—ყათრან ივანეს ძე ბერიძეს—სამკითხველოსთვის.

მონდობილობით გამგეობის წევრი პორფირე მეხუზლა.

სამკითხველოს გამგეობა სთხოვს „საქართველო"-ს და „სახალხო საქმეს" რედაქციებს, გადაბეჭდონ ეს მოწოდება.

## ცნობები

ჯარის-კაცთა შესახებ.

ჯარისკაცი გიორგი ნიკოს ძე მიქავა, მსახურებდა კავკასიის მომქმედ ჯარში მე-10 კავკასიის სამთო-მუშათა ბატალიონში, მე-2 როტაში. 1917 წ. 12 მარტის მერე მშობლებმა მის შესახებ არაფერი იციან. ვსთხოვთ თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ შეატყობინოს შემდეგი მისამართით: М. Бандза, Абедатское сельское управленiе Николаю Давидовичу Микава.

— ილიკო ბესარიონის ძე მგელაძე რევოლიუციამდე იყო გადასახლებული ციმბირში (ენისეის გუბერნიაში) 1916 წლის დეკემბრის შემდეგ მისგან არავითარი ცნობა არ მიგვიღია. თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ, ვსთხოვთ გვაცნობონ შემდეგი მისამართით: დაბა ჩოხატაური ისაკი იგორის ძე ჩანტლაძე.

## ჩვენი ფოსტა

ვანო სოფრომაძეს. თქვენი წერილი უადგილობის გამო არ იბეჭდება. ვასილ ზაქარაშვილთან სადაო საკითხი ადგილობრივ გაარჩიეთ.

მოხაშველს. გვაცნობეთ თქვენი ვინაობა. ისე წერილს ვერ დავბეჭდავთ.

— ჩვენ ბევრი წერილი მოგვდის გაზ. „ბრძოლა"-ში მოთავსებულ წერილების საპასუხოთ. ავტორების საყურადღებოთ ვაცხადებთ, რომ ვინაიდან „ბრძოლა" ამ ჟამათ არ გამოდის, საპასუხო წერილების დაბეჭდვა უხერხულათ მიგვაჩნია.


**დავკარგე** თფილისის განმანაწილებელ პუნქტიდან მოცემული სამსახურის მოწმობა № 614, მნახველს ვსთხოვ გამომიგზავნოს შემდეგი მისამართით: Навтлугъ распредѣлительный пунктъ. Д. Замтарадзе.

ექიმი
**დ. ი. ჯაფარიძე**
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მდივანოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

რენტგენის ელექტრო-სხივებით მკურნავე კაბინეტი ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორის
**გ. გ. მუხრანბატონისა**
შინაგან ავათმყოფობათა სპეციალისტი. მიიღებიან გულისა და ჭლექით დაავათმყოფებულნი. ყოველგვარი გამოკვლევა, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა—სხივებით. მშრალი ჰაეროვანი ვანები, პნევმოტორაქსი, ღრსენეალისა ტოკი და სხვა. რენტგენო-ფოტოგრაფიული გადაღება წინასწარი ჩაწერით. ავათმყოფები მიიღებიან ყოველ-დღე დილის 9 საათ.—1 საათ. და საღამოს 5 საათ. —7 საათამდე. კვირაობით კი დილის 9 საათ. ადრესი: ბებუთოვის ქ. № 23. ტელეფონი 7—92.

**ექიმი გ. მ. მუხაძე**
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

**ექიმი კ. ი. ვაჩნაძე**
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ქუნიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელ. 15—00.

საკურნალო კაბინეტი
ექიმი ალექსანდრე დავითის ძის
**კეკელიასი**
მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

ექიმი
**გ. დონხინი**
ყოფილი იახსისენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს
თვალის ტკივილებით ავადმყოფებს,
დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პრ., 76, (ხაიკინის კბილის საექიმო).

**ექიმი ვ. გ. ვეშაპიძე**
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი
**დ. ი. ქორდანია**
იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები სისხლ ნაკლებზე. ქრონიკული მალიარია და ქრონიკული ტრაპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (დიდუბე). ტელ. 14—37.

ექიმი ქალი
**რ. ბ. შიშლო-სახაშვილი**
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82.

**ვაგზლის კერძო სამკურნალო.**
თბილისის ავთიაქის გვერდით ვაგზლის ქუჩაზე
**ექიმები-სპეციალისტები:**
ექ. ბოკერია ივ.—ქირურგიული სნეულებანი. ყოველ-დღე 2—3 საათამდე.
ექ. ვაშაკიძე ექვ.—შინაგანი და ნერვების სნეულებანი, ყოველ-დღე 11—12 საათ.
ექიმი-ქალი იოსელიანი მარ.—ქალის სნეულებანი, 10,5—11,5 საათ. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.
ექ ქლდიაშვილი მლ.—შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ-დღე 1—2 საათ. რჩევა ერთი მანეთი, ოპერაცია შეთანხმებით.


...-მიქელაძის სტამბა ..., გაზეთის შესახვევი, № 1.